„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ, № 44.

მოგზაური

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

რედაქცია ყოველდღე, გარდა კვირისა და დღესასწაულებისა, 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 36. კვირა, 2 ოქტომბერი 1905 წლისა. № 36.

„მოგზაურის“ რედაქციისავან: მოვაგონებთ იმ ხალისმომცერთ, რომელთაც შემოსატანი ფული სრულათ არ აქვთ გადახდილი, დააჩქარონ შემოტანა.

შინაარსი: უცნაური ლოღიკა, ფ. მახვაძისა.—ოფიციალური ცნობა.—სხვა-და-სხვა ამბები.—რუსეთის ქრონიკა.—უცხოეთის ქრონიკა.—შინაური მიმოხილვა.—ვინ იცავს სომხის პროლეტარიატს? ფ. მახარაძისა.—პროფესიონალური კავშირები დასავლეთ ევროპაში (თარგმანი).—ღია წერილი გაზ. „ჩერნ. ვესტნიკის“ რედაქტორის, ბ-ნ ნიკიტინის მიმართ, ვ. ვარტანიანისა.—წერილი რედაქციის მიმართ.—განცხადებები.

უცნაური ლოღიკა.

ულოღიკობა ხშირი მოვლენაა როგორც ცხოვრებაში, ისე მწერლობაშიაც. მაგრამ ულოღიკობაც არის და ულოღიკობაც. ზოგიერთ შემთხვევაში თუ ულოღიკობაც მისატევებელ ცოდვათ ჩაითვლება, სხვა შემთხვევაში იგი მართლა რომ მიუტევებელი ცოდვაა. ვინ მოთვლის რამდენ ლოღიკურ ნახტომებს აკეთებს გაზ. «ივერიის» მეთაურების ავტორი, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ ის ლოღიკური ნახტომი, რომელიც № 174-ის მეთაურის ავტორს მოუვიდა, სწორეთ რომ მიუტევებელ ცოდვათ უნდა ჩაითვალოს, თუ სადმე სამართალია. ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ ავტორის ისეთ ცილის წამებაზე, როგორც არის, მაგ., ის გარემოება, რომ ჩვენ ვითომც «ერი ფიქციათ» მიგვაჩნდეს, რომ ჩვენ ვითომც სამუდამოთ გადევნილი გვქონდეს ხმარებიდან სიტყვები: ერი, სამშობლო, ენა, ვინაიდან არც „ივერია“ და არც „ცნობის ფურცელი“ ისე სიტყვას არ დაძრავენ, რომ ჩვენ ასეთი ცილი არ დაგვწამონ, რომ ჩვენ ერი ფიქციათ არ მიგვაჩნია, რომ ჩვენ არ უარვყოფთ ენას, ეს ყველასათვის აშკარაა, ვინც ჩვენ შეხედულებას ცოტათი მაინც გაცნობია, ვინაიდან როგორც ერი, ისე ენა უტყუარი და თვალსაჩინო ფაქტია და იმის უარისყოფა მხოლოთ ბრმას და სრულიად უვიცს შეუძლია, თორემ სხვას არავის. მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენ ერი და ენა გვესმის სხვანაირათ, ვინემ ჩვენ მოწინააღმდეგეთ და აი ეს განსხვავება იმათ ვერ შეუგნიათ, თუ არ სურთ, რომ შეიგნონ. მაგრამ აქ ჩვენ ამაზე როდი ვლაპარაკობთ.

იმავე მეთაურ წერილში ჩვენი ავტორი განმარტავს კლასობრივი ბრძოლის დედა-აზრს ისე, როგორც ეს «მესამე დაწელებს» ესმით. თანახმათ ამ მოძღვრებისა საზოგადოება დაყოფილია რამდენიმე ერთიმეორის მოწინააღმდეგე კლასებათ, რომლებიც ერთიერთმანეთს ებრძვიან სამკვდრო-სასიცოცხლოთ. თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება წარმოადგენს ორ მთავარ საზოგადოებრივ კლასს, ბურჟუაზიას და პროლეტარიატს, და ამ ორ კლასს შორის სწარმოებს შეუწყვეტელი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ეს ბრძოლა რო ბურჟუაზიის დამარცხებით და პროლეტარიატის გამარჯვებით უნდა გათავდეს,—ეს დღეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, ვინც თანამედროვე ცხოვრების განვითარებას დაკვირვებული არის. ამასთანავე ჩვენ ვამბობთ, რომ ამ კლასსობრივი ბრძოლის გარშემო ტრიალებს დღეს მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება. კლასთა შორის ბრძოლის თვალთა ხედვის წერტილიდან ვუყურებთ ჩვენ სხვათა შორის თანამედროვე ეროვნულ კითხვასაც. პროლეტარიატი ერთ წუთსაც ვერ დატოვებს კლასსობრივ თვალთა ხედვის ისარს. იმას საერთო არაფერი არა აქვს ბურჟუაზიასთან, სულ ერთია რომელ ერს ეკუთვნის ეს უკანასკნელი. სულ სხვანაირათ იქცევიან ნაციონალისტები და ნაციონალ-დემოკრატები. იმათი აზრით პროლეტარიატი ყველა ერის ბურჟუაზიას ერთნაირათ როდი უნდა უყურებდეს. ქართველი პროლეტარიატი, მაგ., ქართველ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში უნდა ხელმძღვანელობდეს კლასსობრივი პრინციპით, მაგრამ უცხო ერის ბურჟუაზიასთან ბრძოლის დროს მან უნდა დაუტევოს ეს პრინციპი, შეუერთდეს სხვა საზოგადოებრივ კლასსებს, ე. ი. თავის ერის ბურჟუაზიას, და ისე ებრძოლოს უცხო ბურჟუაზიას არა კლასსობრივ, არამედ ეროვნულ ნიადაგზე. ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რას მოასწავებს ეროვნულ ნიადაგზე ბრძოლა უცხო ერის ბურჟუაზიასთან. ეს იქნება კლასსობრივი ბრძოლის უარის ყოფა არა მარტო უცხო ერის ბურჟუასთან, არამედ თავისივე ერის ბურჟუაზიასთანაც. და აი სწორეთ ეს წადიათ ნაციონალისტებს და სწორეთ ამიტომაც გავიძახით ჩვენ, რომ ნაციონალისტები ბურუსში ახვევენ კლასსობრივ ბრძოლასო. „ივერიის“ ხსენებული მეთაურის აკტორი ამას კიდევ ასეთ მოსაზრებას უმატებს. თუ ქართველმა, ერმა დღეს მარტო კლასსობრივ ნიადაგზე დაუწყო ბრძოლა სომხის ბურჟუაზიას, ეს უკანასკნელი სულ მთლათ დაისაკუთრებს მთელ ჩვენ მიწა-წყალს, კარმიდამოს და სარჩო-საბადებელს. სომხის ბურჟუაზიას, თურმე, ჩვენი ავტორის შეხედულებით, როდი ეშინია კლასსობრივი ბრძოლის, იგი თურმე ამ უკანასკნელის მოგონებაზე მხოლოთ ეშმაკურათ იღიმება, და თითქო ქართველ ხალხს ასე ეუბნება თავის გულში: რამდენიც გნებავდეთ კლასსობრივ ნიადაგზე მებრძოლეთ, ოღონდ ეროვნულ ნიადაგზე ნუ მებრძოლებით, ვინაიდან კლასსობრივ ნიადაგზე მე სრულებით ვერაფერს ჩამომრჩებითო. აი ასე მსჯელობს „ივერიის“ მეთაურის გულუბრყვილო ავტორი. და ის კი არ აგონდება, რომ სომხის ბურჟუაზიას, თუ ჭკუა აქვს, უფრო კლასსობრივი ბრძოლის

უნდა ეშინოდეს და არა ეროვნულის, ვინაიდან კლასსობრივ ნიადაგზე მას ებრძვის მისივე საკუთარი პროლეტარიატი, ისე როგორც ქართველ ბურჟუაზიას ებრძვის ქართველი პროლეტარიატი. საკვირველია, თუ ქართველ ბურჟუაზიას ეშინია კლასსობრივი ბრძოლის, რათ სომხის ბურჟუაზიას არ უნდა ეშინოდეს? ქართველ ბურჟუაზიისთვის თუ ხელსაყრელი არ არის კლასსობრივი ბრძოლა, რათ იქნება იგი ხელსაყრელი სომხის ბურჟუაზიისათვის? ეს ისეთი ულოღიკობაა, რომლის მსგავსი იშვიათათ მოიძებნება. თვით ჩვენ ულოღიკობით განთქმულ ჟურნალ-გაზეთობაში. ან შეიძლება ჩვენ ავტორს გონია, რომ სომხის ბურჟუაზიას როდი ებრძვის სომხის პროლეტარიატი კლასსობრივ ნიადაგზე? ასე მხოლოთ ნაციონალისტი და ნაციონალ-დემოკრატი ფიქრობს; და არა თუ ფიქრობს, არამედ იგი ავრცელებს ასეთ აზრს თავის ერის პროლეტარიატში. ქართველი ნაციონალისტი გამოდის და ქართველ მუშა ხალხს ეუბნება: შენ ქართველ ბურჟუაზიას კი არ უნდა ებრძოლო, რადგანაც მას შენთან საერთო ინტერესები აქვს, რადგანაც იგი საერთო კულტურას ქმნის; შენ სომხის ბურჟუაზიას უნდა ებრძოლო, რომელიც ჩვენ ერს მიწა-წყალს ართმევს, სარჩო-საბადებელს გლეჯს ხელიდან, და ჩვენი საერთო მტერი სწორეთ ის არისო. ასე იქცევა, რასაკვირველია. სომხის ბურჟუა-ნაციონალისტი, და აი ორ ერის მუშა ხალხს შორის იბადება განხეთქილება. ჩვენ ვგმობთ და ვკიცხავთ ბურჟუაზიის ასეთ ოინებს და ხრიკებს თავის ბატონობის გასავრცელებლათ და მუშა ხალხის დასაჩაგრავათ. ყველაზე უფრო უძლიერეს იარაღათ ამ საქმეში ჩვენ მიგვაჩნია კლასსობრივი წინააღმდეგობის და კლასსობრივი ბრძოლის შეგნება.

ფ. მახარაძე.

ოფიციალური ცნობა.

(„კავკაზი“ № 246).

ნამესტნიკის თანხმობით, კავკასიის პოლიციის უფროსმა დაუგზავნა ცირკულარი გუბერნატორებს, ოლქის უფროსებს, გუბერნიის, ოლქის და რკინის გზის ჟანდარმთა გამგეობებს, პოლიცმეისტრებს, ოლქის და მაზრის უფროსებს. ამ ცირკულიარში მათ სახელმძღვანელოთ შემდეგი საფუძვლებია აღნიშნული.

მდგომარე წლის თებერვალში საჭიროთ დაინახეს კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობის აღდგენა სრულის უფლებით. როგორც ამის შესახებ გამოცემულ უმაღლეს რესკრიპტიდანა ჩანს, უმთავრეს საქმეთ ცნეს დაუყოვნებლივ წესიერების აღდგენა კავკასიაში, რათა ამ კუთხეშიაც შესაძლებელი ყოფილიყო შიდა რუსეთში განზრახულ რეფორმების შემოღება.

იმ განზრახვით, უმჯობესათ ყოფილიყო ასრულებული ეს მიზანი, სხვათა შორის, საჭიროთ ცნობილ იქნა დაარსება კავკასიის პოლიციის გამგის თანამდებობისა. ამ თანამდებობის შექმნით უნდა გაერთიანებულიყო მოქმედება სანამესტნიკოში პოლიციის სხვადასხვა ორგანოთა მოქმედებისა. ამ წლისა 22 მაისს გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება სენატის მიმართ, რომელიც შეეხება ამ საგანს; ამასთანავე გამოცხადებულ იქმნა დებულება კავკასიის პოლიციის გამგის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ამ თანამდებობის სხვა და სხვა მოვალეობას. ამ დებულების მეორე მუხლის ძალით, პოლიციის გამგე ნამესტნიკის უმაღლეს ხელმძღვანელობით თვალ-ყურს იჭერს და ზრუნავს სახელმწიფო წყობილების და საზოგადოებრივ შვიდობიანობის დასაცველად კავკასიის საზღვრებში.

ამ გვარათ, ნამესტნიკის დანიშნულებათა ასასრულებლად, პირდაპირ იმას ექვემდებარება ერთ-ერთი ჯერ-ბური ორგანო, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას, ვალდებულია დაიცვას სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესიერება.

უმაღლესი რესკრიპტი და უმაღლესი სახელობითი ბრძანებანი შეიცავენ უმაღლესის ნების გამოხატულებას იმის შესახებ, რომ საჭიროა დაარსდეს განსაკუთრებით უმაღლესი თანამდებობა კავკასიისთვის, შეჭურვილი ისეთის უფლებებით რომლებიც შეძლებას მისცემენ დამოუკიდებლივ და საჩქაროდ გადაწყვიტოს ხოლმე ადგილობრივ ყველა საკითხი ამ ფართო და მდიდარ განაპირა ქვეყნის დაწყნარების შესახებ; ახალის თანამდებობის პირს ადგილობრივ უნდა შეესწავლა ქვეყნის საჭიროებანი, თავის დროზე პასუხი უნდა გაეცა ხოლმე მცხოვრებლების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით და მოესპო ყოველივე, რაც კი ხელს უშლიდა საზოგადოებრივ განვითარებას და ეკონომიურ აყვავებას.

ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი მძიმე საქმე კეთილად ასრულდება, თუ ნამესტნიკს დაეხმარებიან კავკასიის მცხოვრებნიც და იმის ხელქვეითი მოხელენი. ნამესტნიკმა არა ერთხელ გამოსთქვა თავისი რწმენა, რომ ამ საქმეში მას დაეხმარებიან ყველა წოდება და ხალხთა გონიერი ელემენტები; იგივე იყო გამოთქმული ზემოაღნიშნულს უმაღლეს რესკრიპტშიაც, მოხელეთა შესახებ ნამესტნიკმა ეს გამოსთქვა შემდეგ დეპეშაში: „დარწმუნებული ვარ, რომ ყველა მსახურნი (თავრობის დაწესებულებებში შეიგნებენ, რაოდენ საჭიროა ამ მძიმე დროს, ყოველი ძალ-ღონე ვიღონოთ და კავკასიაში კეთილდღეობა დავამყაროთ იმ სახით, რომელიც აღნიშნულია ხელმწიფე-იმპერატორის რესკრიპტში ჩემს სახელზე“.

რაც შეეხება კავკასიაში საპოლიციო ნაწილის გამგის თანამდებობის დაწესებას, საჭიროა აღინიშნოს, რომ ამით უნდოდათ კავკასიაში სხვადასხვა საპოლიციო დაწესებულებათა მოქმედების გაერთიანება. გაერთიანება არ შეიძლება იყოს მხოლოდ მეხანიკური, ე. ი. შეთანხმება იმ პირთა და დაწესებულებათა, რომელთაც მინდობილი აქვს პოლიტიკურ დანაშაულობათა დევნა და თავიდან აცილება, არამედ უნდა იყოს შეერთება და შეთანხმება ყველა დაწესებულებათა ენერგიულ საერთო მუშაობისთვის, რომელსაც საგნად უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივ წეს-რიგის დაცვა კავკასიაში, რისთვისაც საჭიროა შეგნებული შემოქმედებითი მუშაობა და არა უბრალო საპოლიციო ძიება. თუ იმას ვიქონიებთ მხედველობაში, რომ საზოგადოებრივ წესიერების დაცვა მარტო პოლიციურ მოღვაწეობას არ შეუძლია, არამედ ამისთვის საჭიროა საზოგადოების კეთილგონიერ ელემენტთა დახმარება, მაშინ, ჩემის აზრით, არც იმას უნდა ვიყვწყებდეთ რომ საზოგადოება ასეთს დახმარებას მაშინ აღმოუჩენს მთავრობას, თუ ექნება იმისი ნდობა და პატივისცემა; ხოლო საზოგადოების ნდობისა და პატივისცემის მოპოვება მაშინ შეუძლია მთავრობას, როცა დაამტკიცებს, რომ მას მხოლოთ კანონიერების დაცვა წადიან და რომ, მას საზრუნველ საგნათ გაუხდია ყველა მცხოვრებთა კეთილდღეობა.

გავიცან რა საერთო ხასიათი კავკასიის სათანადო უფროსთა მოქმედებისა, სამწუხაროთ, უნდა ვალიარო, რომ მათი მოქმედების ხასიათი არ შეეფერება მათის სამსახურის მოთხოვნილებათ, საზოგადობრივ უზრუნველ-ყოფილებისა და სახელმწიფო წესწყობილების დაცვა მარტო მაშინ შეიძლება,

თუ სათანადო მთავრობა დაიმსახურებს მკვიდრთა ნდობას და დარწმუნებული იქმნება, რომ მთავრობის წარმომადგენელები მარტოოდენ მკვიდრთა კეთილდღეობას ემსახურებიან, განურჩეველათ კლასებისა, და თავის სამსახურის აღსრულების დროს მოხელენი მტკიცე და შეურყეველნი იქმნებიან.

ჩვენ დავასახელებთ იმ გარემოებათ, რომელთაც ადგილი არ უნდა ჰქონოდა მოხელეთა მოქმედებაში და რომელთა თავიდან აცილება საჭიროა. 1) ჩვენ არა ერთხელ შეგვიმჩნევია, რომ ადგილობრივ მთავრობის ორგანოთა წარმომადგენელნი ყოველივე მოძრაობის—მუშათა თუ აგრარულს მიზეზათ: ასახელებენ ბოროტ-გამზრახველთა აგიტაციას მათდამი რწმუნებულ რაიონებში და თხოულობენ ამ აგიტატორების გაძევებას, რის შემდეგაც ყოველივე მოძრაობა ვითომდა თავის-თავადაც ჩაქრებაო. ჩვენ არას ვიტყვით იმის შესახებ, რომ ასეთი აზრი ცხოვრებაში არა მართლდება, ვინაიდან ბოროტ-გამზრახველთა გაძევებით არავითარი მოძრაობა არ ჩამქრალა, ვიტყვით მხოლოთ, რომ ასეთი აზრი თეორიულადაც მართალი არ არის. ყოველივე აგიტაცია მხოლოთ მაშინ გამოიღებს ხოლმე ნაყოფს, როდესაც მას ნიადაგი აქვს ხალხში. მაშასადამე, ჩვენ ვერ დავუჯერებთ ადგილობრივ დაწესებულებათა იმ უფროსებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თუნდა, მაგალითად, სისტემატიური გაფიცვა ათასისა და ათი-ათასის მუშისა, რომელი გაფიცვებიც ხშირად სამხედრო ძალის ხმარებას გვაიძულებენ ხოლმე და ამ ძალის ხმარებას ადამიანთა მსხვერპლიც მოსდევს, მარტო რამდენიმე ბოროტ-გამზრახველის აგიტაციის ნაყოფი იყოს. ასეთი მსუბუქი ახსნა-განჭარტება ამ დიად მოვლენათა, სამწუხაროდ, მარტო იმას ამტკიცებს, რომ სათანადო მთავრობა გულგრილად ეკიდება თვის თანამდებობათა აღსრულებას და არა სცდილობს ყოველ მხრიდან გამოირკვიოს, შეისწავლოს ეს მოვლენა. უამისოთ კი მე არ შემიძლია ნამესტნიკს გავაცნო საქმის ნამდვილი ვითარება. ამასთანავე ჩემ მოხსენებაში ნამესტნიკისადმი ყოველთვის დავასახელებ ხოლმე იმ მოხელეთ, რომლებიც წინდაწინვე ზედმიწევნით გამაცნობენ საქმის გარემოებას და ამითი საშუალებას მოგვცემენ, რომ ჯეროვანისა და სათანადო ზომების მიღებით თავიდან ავიცილოთ მომავალი სამწუხარო შედეგი. 2) ვინაიდან სათანადო მთავრობას ასეთი ყალბი წარმოდგენა აქვს საზოგადოებრივსა და კლასობრივ მოძრაობის მიზეზებზე, შევამჩნიე აგრეთვე, რომ ძალიან ხშირათ თხოულობენ ხოლმე ამა თუ იმ ბოროტ აგიტატორის სამშობლოდან გაძევებას. უნდა ვსთქვა, რომ რადგანაც სისხლის სამართლის წესის 1035 მუხლის ძალით სახელმწიფო წესწყობილების მტერთა წინააღმდეგ მოქმედებისათვის, მე არ შემიძლია მხარი დავუჭირო ფართო პრაქტიკას ადმინისტრატიულ დასჯისას. მე მგონია, რომ ამგვარი ბრძოლა სახელმწიფო წესწყობილების მტერთა წინააღმდეგ, რომელ მტერთა გამრავლებას შეიძლება ადმინისტრატიულმა რეპრესიებმაც შეუწყოს ხელი, არამც თუ სასარგებლო არ არის, არამედ პირდაპირ მავნებელიცაა ჩვენთვის, ვინაიდან ასეთი ხშირი და სასტიკი ზომები ხალხის თვალში მთავრობას აბრუს უტეხავს და ეჭვსა ჰბადებს მის სამართლიანობა-თანდათანობაში. ადმინისტრატიული რეპრესია მხოლოთ იშვიათად და უსაჭიროესს შემთხვევებში უნდა იხმარებოდეს. ხოლო როცა ეს რეპრესია საერთო წესადა ხდება და იხმარება არაიშვიათ შემთხვევაშიც კი, აღელვებს და ამწვავებს ხალხს, სთესავს შუღლს მთავრობის წარმომადგენელთა შორის და ხელს უწყობს მთავრობის მტრებს, რომ ეს ზომები მთავრობის თვითნებობად მონათლოს. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ჟანდარმთა კორპუსის მოხელენიც მიმართავენ ხოლმე ამ ზომებს. ჟანდარმთა ოფიცრების უღონობას ამტკიცებს, იმას, რომ ამათ არ ძალუძთ საქმის რიგიანი გამოძიება, ანუ სათანადო დაფასება ამა თუ იმ აგიტატორის მოქმედებისა, რომელიც შეიძლება დასჯელიც არ იყოს.

მაგალითათ, დღეს მე ხელთა მაქვს მოხსენება ჟანდარმებისა იმ პირთა ადმინისტრატიულად დასჯის შესახებ, რომლებიც აგიტაციას ეწეოდნენ მუშათა, მეეტლეთა და ლაქიათა შორის და ის კი არ არის ნათქვამი, რომ ეს პირნი სრულიადაც არ ეკუთვნიან რომელიმე აკრძალულ ორგანიზაციას და აგიტაციას მხოლოდ ეკონომიურ ნიადაგზე ეწეოდნენ. ერთი მათგანის შესახებ ხომ საკმარისი საბუთებიც არ არის ნაჩვენები, მეორის შესახებ კი არის. ეს მეორე 17 წლის ჭაბუკია და ისეთი საქციელიც ჩაუდენია, რომ იგი განსამართლებულ უნდა იქმნას სისხლის სამართლის წესით და პასუხის გებაშიაც მიუციათ, მაგრამ არც ჟანდარმს და არც ბრალმდებელს საჭიროთ არ დაუნახავთ მისი წინასწარი დაპატიმრება, ვინაიდან საკმაო საფუძველს ვერა პოულობდნენ. ვიმეორებ, რომ, ფაქტიურად დაუსაბუთებელი მოხსენება არც კი უნდა წარმოედგინათ. ამ ორ კაცს სულ სხვადასხვა დანაშაულის ჩადენა ბრალდებათ, და მათთვის ერთსა და იმავე სასჯელის დადებას კი თხოულობენ. როდესაც ეს მოხსენება ნამესტნიკს წარუდგინეს, ნამესტნიკმა მოისურვა მხოლოთ მეორეს დასჯა სისხლის სამართლის 1035 მუხლის ძალით და მიბრძანა ორივენი გამეთავისუფლებინა და თან გამეფრთხილებინა, რომ თუ კიდევ ჩაიდენდნენ რაიმე დანაშაულს, მაშინ კი გადასახლებულ იქმნებოდნენ.

მეორე შემთხვევა. საქმის გამოძიება პოლიციის ცნობებით ქალაქის გამგეობაში არა კეთილსაიმედო მოსამსახურეთა, რომლებიც გაიფიცნენ და ჯამაგირის მომატებას თხოულობდნენ, მოახდინა ჟანდარმთა კორპუსის ოფიცერმა. გამოძიება უმთავრესად დამყარებულია გაფიცვის პირობების გამოკვლევაზე, მაგრამ ძრიელ ნაკლები საბუთები კი აღმოჩნდა. სხვათა შორის ძნელი გამოსაძიებელი აღმოჩნდა ჩვენება რამდენიმე კაცისა ერთის შესახებ, რომელიც ვითომ აკრძალულ სარევოლიუციო წიგნაკებს აკითხებდა სხვებს. გამოძიებაში მოხსენებულია მეორე მოუსვენარი კაცი, შეიძლება დამნაშავეც კი, მაგრამ, ამის დასასკვნელად საკმაო საბუთები ვერ შეუკრებნიათ. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ჟანდარმთა ოფიცერი გამოძიების დროს ყალბ გზას დაადგა და გამოძიების საგნად თავისთავათ უმნიშვნელო ფაქტი აირჩია--გაფიცვა მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატების მოთხოვნით—ფაქტი, რომელიც ან არავითარ ჟანდარმთა გამოძიებას არ საჭიროებდა, ან ამ ოფიცერმა ვერ მოახერხა აღმოეჩინა ფაქტები ქალაქის გამგეობაში მოსამსახურეთა არა კეთილ-საიმედოებისა. ამ საქმის გამო კი ადგილობრივი მთავრობა რამდენიმე კაცის გადასახლებასა თხოულობს, ამავე დროს ამავე საქმიდანვე სჩანს, რომ სამი ბრალდებულთაგანი დასჯილ უნდა იქნეს სისხლის სამართლის 1035 მუხლის ძალით, თუმცა არც ერთი მათგანი დატუსაღებული არ არის.

ეს მეორე საქმე თვალსაჩინოთა ყოფს, რომ მთავრობის ადგილობრივი წარმომადგენელნი სათანადო გულმოდგინებითა და დაკვირვებით არ ეპყრობიან თავის სამსახურის მოვალეობის აღსრულებას. სულ უბრალო საქმეა და 56 ფურცელი ქაღალდი კი გაუჭრელებიათ, თუ იმ მიწერ-მოწერას არ ვიანგარიშებთ, რომლებიც საქმეში არ არის ჩაკერებული და რომელიც წარედგინა ნამესტნიკის საბჭოს და ზედმეტი და უსარგებლო დროს დაკარგვა გამოიწვია, ვინაიდან სასტიკ რეპრესიულ ზომების მიღება იმ უმნიშვნელო გაფიცვისა გამო, რომელიც გამგეობის კედლებს არ უნდა გასცილებოდა,

არამც თუ გააწვავებდა იმ პირთ, რომელთაც ეს რეპრესია დაადგებოდათ, არამედ ააღელვებდა ციდეც მცხოვრებთ და აამხედრებდა მთავრობის წინააღმდეგ, რადგანაც ამ რეპრესიების მისაღებათ საჭირო საბუთი ხელთ არ გვეჭირა.

3) შევამჩნიე აგრეთვე. რომ ხშირათ ატუსაღებენ ხოლმე სხვა და სხვა პირთ, თუმცა საამისოთ საკმაო საბუთები არა აქვთ. ასეთი ამბავიც მომხდარა, რომ ჟანდარმის ოფიცერს დაუტუსაღებია კაცი, და თავის გადაწყვეტილების პირი ბრალმდებელისათვის არ გაუგზავნია—რასაც კანონი სასტიკად თხოულობს—და არც თავი შეუწუხებია საქმის გამოძიებით. კაცი იგი ორ კვირაზედ მეტი იჯდა ციხეში და გათავისუფლებულ იქმნა მხოლოდ მაშინ, როცა ეს ბრალმდებელმა მოითხოვა ამ ტუსაღის საჩივრისა გამო. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ ეს კაცი სრულიად უდანაშაულო ყოფილა და ჟანდარმის ოფიცერს ცოტა თავი რომ შეეწუხებინა, დატუსაღების რამდენიმე საათის შემდეგ, სრულ სიმართლეს შეიტყობდა. უნდა ახსოვდეთ სათანადო მოხელეთ, რომ თავისუფლების წართმევა და კაცის მარტოდ-მარტო გამომწყვდევა ოთახში ისეთი დიდი სასჯელია, რომ სასტიკი ზომები უნდა იქმნეს მიღებული იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ასეთ სასჯელს ვისმე უსაბუთოთ მიაყენებენ. 4) თუ მთავრობის წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი თვითნებობა აბრუს უტეხავენ ამ მთავრობას ხალხის თვალში და ხალხს სამართლიანად აღელვებს, არა ნაკლებ ასუსტებს და ამცირებს მთავრობას ის გარემოებაც, რომ მთავრობის წარმომადგენელნი გულგრილათ ეკიდებიან თავის მოვალეობის აღსრულებას და მთელის თავის ძლიერებით არ გამოიჩენენ ხოლმე იმ უფლებათ, რომელიც მათ აქვთ მინიჭებული. სწორეთ ამ გარემოებით აიხსნება ის მოვლენა, რომ ხალხი, რომელიც აქამდე ემორჩილებოდა კანონიერ მთავრობას, ხედავს რა მთავრობის სისუსტეს, დღეს გადაუდგა მას და დაემორჩილა საიდუმლო კომიტეტებს. ამ გვარი მოვლენა აიხსნება მარტო იმით, რომ მთავრობის მოხელენი მთელის წლების განმავლობაში ყურადღებას არ აქცევდნენ ხალხის მწუხარება-დალხინებას, გულგრილად ეკიდებოდენ თავის მოვალეობათა აღსრულებას და ამიტომაც, მოულოდნელათ, ხალხის გარეშე დარჩენ. ის ხალხი, რომელმაც დაინახა სისუსტე მთავრობის ორგანოთა, დაემორჩილა იმ საიდუმლო კომიტეტებს, რომლებიც ხალხსაცა და თვით მთავრობასაც ტერორით უმკლავდებიან. ამ გვარი უწესობა და ანარხია დიდათ მაზარალებელია სახელმწიფო წესწყობილებისათვის. ხოლო მთავრობის წარმომადგენელები თავის დროზე რომ დაჰკვირვებოდენ ხალხის გაჭირვებას, ან საქმით შესდგომოდნენ მათდამი მინიჭებულ უფლებათა აღსრულებას, ამისთანა ამბავი არ მოხდებოდა.

5) სამწუხაროთ ასეთივე გულგრილობა მოჩანს ზედამხედველ ორგანოების მოხელეთა მხრივ სარევოლიუციო მოქმედების აღმოფხვრის დროსაც. ეს მოხელენი გამოეკიდებიან ხოლმე ისეთ მოვლენებს, რომელთაც არავითარი სარევოლიუციო მიზანი არა აქვს, ასტეხენ ხოლმე დაუსრულებელ მიწერ-მოწერას და თავისი პირდაპირი დანიშნულება კი—აღმოჩენა მთავრობის მოწინააღმდეგეთა და მათ მოქმედებათა ავიწყდებათ. ამასობაში სახელმწიფო წესწყობილების მოწინააღმდეგენი ძალას იკრებენ, სარგებლობენ მთავრობის წარმომადგენელთა ცალ-მხრივ გატაცებით და თავის ქადაგებას ყველგან ავრცელებენ. კავკასიის ჟანდარმთა ერთ-ერთ სამმართველოს უფროსი მთელის წლის განმავლობაში გულმშვიდათ აღნიშნავდა ხოლმე იმ გარემოებას, რომ ჯარის ერთ-ერთ ნაწილში ვიღაცები სახელმწიფო წესწყობილების საწინააღმდეგო მოწოდებათ ავრცელებდნენ და თან დასძენდა ხოლმე დამნაშავეთა აღმოჩენა ვერ მოხერხდაო. ასეთის გულგრილობის შედეგმა აღარ დაიგვიანა. ახლა იგივე უფროსი იუწყება: ჯარის ამ ნაწილში შესამჩნევი მოძრაობა დაწყებულა და თავის მთავრობას პირდაპირი უკმაყოფილებაც [illegible] და „ცუდი საქმელი“ მოიმიზეზაო. ამ გვარად, რევოლიუციონერებმა იქაც კი მიაღწიეს, სადაც მათ ყოველგვარი გზა დახშული უნდა ჰქონოდათ.

6) აქამდის აუსრულებელი რჩება კავკასიის პოლიციის უფროსისადმი ინსტრუქციის მე-13 §, რომლის აუსრულებლობაც ძრიელ ხელს შიშლის. უმაღლესი მოხელენი მოვალენი არიან დაწვრილებით აუხსნან და განუმარტონ ადმასრულებელ ორგანოებს, თუ რა დროს უნდა მიმართონ ხოლმე იარაღს. ეჭვს გარეშეა, რომ კავკასიის ცხოვრების განსაკუთრებული პირობები დაუყოვნებლივ თხოულობს იარაღის ხმარებას იქ, სადაც საჭიროება მოითხოვს, მაგრამ ისიც ეჭვს გარეშეა, რომ იარაღის უადგილოადგილას ხმარებაც, მცხოვრებთა შორის დიდ უკმაყოფილებას და გულისწყრომას იწვევს და ხალხსა და მთავრობის შორის შუღლსა სთესავს, ამიტომ უფროსებმა უმცროსებს გადაჭრით უნდა განუმარტონ ხოლმე იარაღის ხმარების დრო. ვიმეორებ იარაღი, დაუყოვნებლივ უნდა იხმარებოდეს, იქ, სადაც საჭიროა, მაგრამ თუ ამ საჭიროებამ განვლო, ან არა ყოფილა ასეთი საჭიროება—იარაღის ხმარება თვითნებობად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, დამნაშავის დაჭერის დროს, საჭიროა იარაღის ხმარება, მაგრამ თუ დამნაშავე უკვე შეიპყრეს, შეპყრობილის ცემასა და ზედმეტ შევიწროებას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს.

მე თვითონ ხელს შევუწყობ იარაღის ხმარებას მაშინ, როდესაც საჭიროა, მაგრამ ამავე დროს სასტიკათ მოვეპყრობი თანამდებობის პირთ, თუ იმათ რაიმე თვითნებობა და ძალმომრეობა გამოიჩინეს.

სხვა და სხვა ამბები.

— 11 სექტემბერს ქ. ბაქოში, ბიბი-ეიბათში; „ელექტრონული ძალის „შენობაში მთავრობის საწინააღმდეგო კრება გაუმართავთ. ამიტომ ქ. ბაქოს დროებით გუბერნატორმა სამხედრო დროის წესების მიხედვით ადმინისტრატიულათ დასჯა ციხეში დაპატიმრებით: 18 კაცი სამ სამი თვით, 16 კაცი – ორ-ორი თვით და 27 თითო თვით. (ბაქო).

— ვარშავაში 22 სექტემბერს სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა იოსკი ორიმას, რომელსაც კაზაკ ლუკოვის მოკვლა ბრალდებოდა.

— შინაგან სქმეთა მინისტრმა ცირკულიარით გუბერნატორებს აუწყა, წარმომადგენლების არჩევის საქმეში თქვენ ნუ ჩაერევითო.

— 22 სექტემბერს მოსკოვის უნივერსიტეტი დროებით დაიკეტა რექტორის განკარგულებით. ამის შესახებ შემდეგი ცნობებია: კრებაზე, რომელიც მხოლოთ სტუდენტებისთვის იყო ნებადართული, ბევრი არა-სტუდენტიც დაესწრო. რექტორმა, რომელსაც ეს გარემოება ამ უცხო პირებისთვის და თვით სტუდენტებისთვისაც საშიშათ მიაჩნდა, კომისია დანიშნა. კომისიამ უნივერსიტეტის დროებით დაკეტვა გადაწყვიტა. თორმეტ საათზე ხუთასამდე სტუდენტი შეიკრიბა და რექტორს კრების გამართვა სთხოვა. კრება სამს საათს გაგრძელდა. კრებაზე რექტორი მოვიდა და თხოვა სტუდენტებს, უცხო პირები არ შეეშვათ, რადგანაც ეს კრება უკანონოდათ შესდგა, სტუდენტებმა რექტორთან დეპუტაცია გაგზავნეს და თხოვეს, ამ მოკლე ხანში სტუდენტთა საერთო კრების გა-

მართვის ნება მიეცა. რექტორმა უპასუხა, რომ ამ საკითხს საბჭო გადაწყვეტავსო. უნივერსიტეტი შაბათს ან სამშაბათს გაიხსნება.

— ქსნის ხეობიდან (დუშეთის მაზრა) გვატყობინებენ: უმთავრესი სოფლები ყაზახებით მოიფინა. თითქმის ყოველ დღე ატყვევებენ თითო-ოროლა კაცს. გლეხ-კაცს, ეტყობა, გული არ უტყდება, არ ეუცხოვება, რასაცა ხედავს. ქართლული სიდინჯით იკავებს თავის ღელვას. წინააღმდეგობას არ იჩენენ.

ამ ხანში წითელი რაზმისა ალარა ისმის-რა. ხალხში ამ რაზმს საპატიო სახელი უპერია, ვინაიდგან ეს რაზმი თავგანწირვით დევნიდა ქურდებს, ყაჩაღებს. ამ დღეებში იპოვეს გვამი გათქმული ქურდისა. იმის მოკვლას აწერენ წითელ რაზმს, რაზედაც უმადლიან, თუმცა გლეხი კაცი არც ყოფილა და არც არის სისხლის მოყვარული.

— ვ. ს. „კავკაზ“-ში 25 სექტემბერს მომხდარ ამბების შესახებ დაბეჭდილია:

„კვირას, 25 სექტემბერს, ქალაქ თფილისში გაისროლეს ცხრა ყუმბარა. პირველი ყუმბარა ისროლეს საღამოს 7 საათსა და 20 წუთზე ორთაჭალაში პოლტავის ყაზახთა სოტნის ყაზარმებთან. ესროლეს ყაზახთა რაზმს. ყუმბარისაგან დაიჭრა ერთი ყაზახი და სამი სალდათი თფილისის პოლკისა, ადგილობრივ კამანდისა და ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკისა; დაიჭრა აგრეთვე რამდენიმე გარეშე კაცი, მათ შორის არტემ საბოვი, რომელიც ამ ჟამათ საავათმყოფოშია. მსუბუქათ დაჭრილნი მიხეილ ფარაჯანოვი, სისაკ სააკოვი და სარქის ხარაზოვი მიხეილის საავათმყოფოში ჭრილობის შეხვევის შემდეგ შინ წავიდენ. მეორე ყურბარა, იქვე ვასროლილი, არ გასქდა. შეიპყრეს რამდენიმე კაცი, მათ შორის ავაქ არუშანოვი, რომელმაც ყურმბარა გაისროლა.

ყუმბარა გაისროლეს აგრეთვე ბროსსეს ქუჩაზე (მესამე საპოლიციო ნაწილი). აქ ოთხი ყუმბარა გასქდა. ბოროტმომქმედნი მისულან ყაზახთა ნაწილის ყაზარმასთან, რომელიც საპიორის ბატალიონის ყაზარმის უკან არის, და ალაყაფის კარებიდან ეზოში ზედიზედ ოთხი ყუმბარა შეუგდიათ. გამსქდარ ყუმბარის ნატეხებით დაიჭრენ ყაზახები მაქსიმ შელუტკო და კუზმა სერედა. ეს უკანასკნელი 25 სექტემბრის ღამეს საავათმყოფოში მოკვდა. ყაზახები გარეთ გავარდნენ და დაედევნენ გაქცეულთ, რომელთაც ეტლი უცდიდათ; ამასთან სროლაც დაუწყეს. თავის მხრივ ბოროტ-მომქმედებმა რევოლვერებით ასტეხეს სროლა. ყაზახებმა ერთი იქვე მოჰკლეს და უნახეს ყუმბარა. ორი კი ეტლში ჩაჯდა და გაიქცა. ამათ მსუბუქათ ხელში დაჭრეს ერთი ყაზახი. დევნისა და სროლის დროს დაშავდენ შემთხვევით გამვლელნიც. სასიკვდილოთ დაიჭრა და მიხეილის საავათმყოფოში გარდაიცვალა ლიუტერანთა ობერ-პასტორი მიულლერი, მძიმეთ ზურგში დაიჭრა და წუხელ უკვე გარდაიცვალა სახაზინო თეატრის რეჟისორის თანაშემწე მიხეილ ბოიარსკი. რომელიც ქუჩას გადადიოდა სახაზინო თეატრთან. დაიჭრა აგრეთვე ქუჩაში მიმავალი ალექსანდრე ფარმაზანოვი, მსუბუქათ მუცელში ზაქარია კოკოლაშვილი და თავში—კარაპეტ გრიქუროვი. ესენი, ჭრილობის შეხვევის შემდეგ შინ წავიდენ, ამას გარდა ბროსსეს ქუჩაზე მოკლულ იქნა სამი უცნობი კაცი, რომელთა გვამებიც მიხეილის საავათმყოფოს საანატომიო განყოფილებაში წაიღეს. ნაშუადამევის პირველ საათზე ბროსსეს ქუჩაზე, ყაზახთა და საპიორის ბატალიონის ყაზარმებს შუა პოლიციამ იპოვა გატენილი, მაგრამ არ გავარდნილი ყუმბარა.

ამ ორ ადგილის გარდა ყუმბარები გაისროლეს ერმოლოვის ქუჩაზედაც, სასახლის გვერდზე, იქ, სადაც ნამესტნიკის კონვოის ყაზახთა ყაზარმეთია. როდესაც ამ ყაზახებმა ბროსსეს ქუჩიდან ყუმბარისა და სროლის ხმა გაიგონეს, ერმოლოვის ქუჩაზე გამოცვივდნენ. მაგრამ იმ დროს, როდესაც ყაზახები, ბრძანების თანახმათ, მოტრიალდენ, ზურგი ნამესტნიკის ბაღს შეაქციეს და ყაზარმებისკენ გაემართნენ, გავარდა ყუმბარა, რომლის ნამტვრევებისაგან იქვე მოკვდა ყაზახი ბურლიაევი და დაიჭრა 12 ყაზახი: შახოტინი, ვიხმანცევი, კურკინი, კორობი, ტკაჩევი, ლუცენკო, არტიუხი, სადილო, პახომოვი, რაზდოლსკი, გორდიენკო და კუზნეცოვი. ამათგან სამი მძიმეთ დაიჭრა, დანარჩენი სუბუქათ. შახოტინი, კოროპი და ტკაჩოვი წაიყვანეს მიხეილის საავათმყოფოში, დანარჩენი — სამხედრო გოსპიტალში. როგორც ეტყობა, ბოროტ-მომქმედი უნდა დაჭრილიყოს, რადგან სისხლის წვეთები მისდევს იმ ადგილიდან, სადაც აფეთქება მოხდა პეტრე დიდის ქუჩასა და თავად-აზნაურთა კერძო გიმნაზიამდე. პეტრე დიდის ქუჩიდან მიხეილის საავათმყოფოში მიიყვანეს ამ აფეთქების დროს დაჭრილი ოვაკიმ სოგომონიანცი.

ყუმბარის აფეთქების შემდეგ ბროსსეს ქუჩაზე, „ბრისტოლის“ სასტუმროდან, რომელიც სახაზინო თეატრის პირდაპირაა გოლოვინის პროსპექტზე, და აგრეთვე ანანოვის, დობრჟანსკის და სხვათა სახლის სახურავებიდან ვიღაცებმა რევოლვერები დაუშინეს პატრულს. ამათაც სროლითვე გასცეს პასუხი, მაგრამ ამ სროლის დროს არავინ დაჭრილა. გოლოვინის პროსპექტზე ამ დროს ხალხი დასეირნობდა. ნაწილი ხალხისა სახაზინო თეატრისკენ გაიქცა, ნაწილი კიდევ აქეთ-იქით გაიფანტა. წარმოდგენა სახაზინო თეატრში გადაიდო.

გუშინ, 26 სექტემბერს, მეორე პარალელის ქუჩასა და ლაბოროატორიის ვიწრო ქუჩაზე იპოვნეს ორი ყუმბარა. როგორც ეტყობა, ეს ყუმბარები წინა ღამეს გაქცეულ ბოროტმომქმედთ დაუგდიათ ქუჩებში იმ დროს, როდესაც ამ უბანს ჯარი შემოერტყა“.

— ქუთაისიდან იწერებიან: ქუთაისში ხმა დადის, ვითომ ბაღდადის საპოლიციო განყოფილებაში ხალხსა და ყაზახებს შეტაკება მოსვლიათ და რამდენიმე კაცი მოკლულია ორსავე მხრივაო. საქმე ასე ყოფილა: ბაღდადის ბოქაულს მოსვლია სოფ. უხუთიდან ამბავი. ვითომ იქ შეკრებილიყვნენ აგიტატორები, რომელთაც დიდი გაგლენა აქვთ ხალხზე. ამათ შესაპყრობლათ ბოქაულს გაუგზავნია ერთი პოლიციის ურიადნიკი და 6 ყაზახ-რუსი, რომელთაც ღამე უხუთში გაუთევიათ და მეორე დღე დილას წამოუყვანიათ სოფლის მამასახლისი და წამოსულან. გზაზე ვენახებიდან სროლა დაუწყიათ და მოუკლავთ ერთი ყაზახი და დაუჭრიათ ურიადნიკი და ორი მძიმეთ დაუჭრიათ. საქმის გამოსაძიებლათ გაიგზავნა უხუთში ქუთაისის მაზრის უფროსი თავ. დადეშკელიანი.

— „კავ.“-ში დაბეჭდილია პოლიციის უფროსის გენერალ შირინკინის შემდეგი წერილი: „რუს. ვედ.“-ის მე-255 ნომერში გაზეთ „ნოვოსტი“-დან გადმობეჭდილია დეპეშა იმის შესახებ, ვითომ „პოლიციის უფროსს გენერალ შირინკინს შუამდგომლობა აღეძრას, დაინიშნოს სასტიკი გამოძიება 29 აგვისტოს მომხდარ ამბისა, დამნაშავენი სამართალში იქნან მიცემულნი და პრესასაც უფლება მიეცეს გამოაქვეყნოს საქმის მსვლელობაო“. ეს ამბავი დეპეშის გამგზავნელის ოცნების ნაყოფია და არავითარ სიმართლეს არ შეიცავს“.

— დროებით გენერალ-გუბერნატორმა ჟილიამ მოსთხოვა ქალაქის გამგეობას 3 დღის განმავლობაში წარმოეიდგინეთ სია სამსახურიდან გადამდგარ ყველა ხმოსნებისა, გამგეობისა და სხვადასხვა კომისიის წევრთაო.

— 25 სექტემბერს, ყუმბარების გასროლის შემდეგ, როდესაც ქუჩებში ჯარი იქნა გამოწვეული და თოფის სროლა და ჩოჩქოლი ასტყდა, ერთი მოხელე, ერთი მემუსიკე და ორი ქალი ერთათ ბარიათინსკის ქუჩაზე მიდიოდენ თურმე. შეშინებულნი ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ჩასულან და სარძევეში შევარდნილან. ეს დაუნახავს ერთს უბნის ზედამხედველს, იგი სამის სალდათის თანხლებით წასულა სარძევეში. მიხეილ წვერაძე შინ არ ყოფილა, მის მეუღლეს ელენე წვერაძისას შიშისაგან სარდაფის კარები გამოუხურავს. ამ დროს მისულა უბნის ზედამხედველი ვინოგრადსკი და უბრძანებია არ დაეკეტნა სარძევე. ეს ვერ გაუგია წვერაძეს და მაინც მიუხურავს დარაბები, ამ დროს გავარდნილა რევოლვერი. ტყვიას კარების შუშა გაუხვრეტია, ელენეს გვერდში მოხვედრია და იქვე მოუკლავს.

— Ламкервалов მაღაზიის პატრონი იაკინთე ღლანიძე 26 სექტ. «არბუზნი» ქუჩაზე ყაზახ-რუსებს გაუჩხრეკიათ და რაკი საწინააღმდეგო ვერა უპოვნიათ-რა, წაუღიათ ფული 105 მან. და ერთი ბუხრის ქუდი, 10 მან. ღირებული, ღლანიძეს საჩივარი შეუტანია გენერალ-გუბერნატორთან. ამგვარისავე საჩივრით, მიუმართავს პოლიციის მე-6 ნაწილის ბოქაულისათვის ოლქის სასამართლოს მდივნის თანაშემწეს ბასტიანოვს. როგორც ბასტიანოვი ამბობს, იმის თვალწინ ყაზახებს გაუძარცვავთ ვიღაც პირები და თუ რაიმე ფასიანი ჭონიათ, ამოუცლიათ. სულ 15-მდე კაცი მისულა ბოქაულ გურგენიძესთან ამგვარის განცხადებით.

— უმაღლეს წრეებში აღძრულია ლაპარაკი შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის შესახებ. ახალი პროექტით გახზრახულია დაარსდეს პოლიციის მინისტრის თანამდებობა, რომელსაც ჩაბარდება პოლიცია და ჟანდარმერია. მინისტრს ორი თანაშემწე ეყოლება: ერთი მათგანი იქნება პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი, მეორე—ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი. ეს რეფორმა იმიტომ იქნა აღიარებული, რომ რუსეთი ახლა ახალ პოლიტიკურ ცხოვრების ფერხულში უნდა შევიდეს. პოლიციის მინისტერის კანდიდატებათ ასახელებენ გრაფ იგნატიევსა და ახლანდელ მინისტრის ამხანაგს გენერალ ტრეპოვს.

— როგორც პეტერბურგიდან იტყობინებიან, ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-სამართველოს განზრახვა აქვს მის უწყების ყველა მოსამსახურეთათვის შემოიღოს 8 საათის მუშაობა.

— 28 სექტემბერს, თფილისის თითქმის ყველა ვაჟთა გიმნაზიაში და რეალურ სასწავლებლებში სწავლა შეწყვიტეს და დაადგინეს—ორშაბათამდე არ განაახლონ სწავლა, იმ შეურაცხყოფის გამო, რომელიც კაზაკებმა ვაჟთა მეორე გიმნაზიის მოწაფეთ მიაყენეს.

— ეს მეოცდა ოთხე დღეა, რაც სიღნაღის საქალაქო სკოლის მოწაფეები გაფიცულნი არიან. შარშანდელ მოთხოვნილებას გარდა, მოწაფეებმა წარადგინეს კიდევ დამატებითი მოთხოვნილება, რომ დათხოვნილ იქნან შემდეგი მასწავლებელნი: კალესნიკოვი, ბაიმოზინი, სუხომუკოვი და სკოლის ინსპექტორი. ეს მოთხოვნილება წარუდგინეს დირექტორს და განუცხადეს, შარშანდელ და წლევანდელ მოთხოვნილებათა ნახევარი თუ მაინც არ იქნება დაკმაყოფილებული, სწავლას არ დავიწყებთო. ჯერ მოსწავლეებს არავითარი პასუხი არ მიულიათ.

— თანახმად თფილისის დროებით გენერალ-გუბერნატორის შეკითხვისა თუ, რა პირობებით დაუბრუნდება საბჭო სამსახურს, თფილისის საბჭოს ხმოსნებს და გამგეობის წევრებს, ასე 47 კაცს, პარასკევს, 24 სექტემბერს, ინ. კირაკოსოვის ბინაზე კრება ჰქონდათ და გადასწყვიტეს: 1) სამარ წესების გაუქმება, რადგანაც ამ წესების ძალით, ქალაქის გამართვას ისეთი სისხლის ღვრა მოსდევს, როგორც 29 აგვისტოს იყოვო; 2) სიტყვის თავისუფლება, ე. ი. სანამ უმაღლესად გადაწყდება საკითხი პრესის თავისუფლებისა, ნამესტნიკმა ასეთი თავისუფლება მაინც მიანიჭოს პრესასა, როგორც, მაგალითად რუსეთის სატახტო დიდ ქალაქებსა აქვთ. 3) კრებების გამართვის თავისუფლება, რადგან ხალხი ძლიერ მოწყურებულია ერთად შეყრას და კრების გამართვას. 4) პიროვნების ხელუხლებლობას იმ პირთა, რომელნიც კრებაზე დაიარებიან, და 5) სასტიკი გამოძიების მოხდენა 29 აგვისტოს ინციდენტის შესახებ. გენერალ-გუბერნატორთან პირისპირ მოსალაპარაკებლად კი არჩეულ იქმნა კომისია 15 კაცისაგან; ექიმი ა. ი. ხატისოვი, ა. ს. ბაბოვი, ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი, ი. მ. დოლუხანოვი, გ. მ. თუმანოვი და ვ. ნ. ჩერქეზიშვილი.

— ტფილისის ქალაქის საბჭოს ახალ ხმოსნების ამორჩევამდე ქალაქის საქმეებს განაგებს საგუბერნიო ადმინისტრაცია.

— კვირას, 25 აგვისტოს, ჩვენ მკითხველებს ვაუწყებდით, რომ, კავკასიაში პოლიციის უფროსმა გენერალმა შირინკინმა შეამდგომლობა აღძრა, 29 აგვისტოს მომხდარ უბედურების გამო უმთავრესი დამნაშავენი პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი და პრესასაც ნება მიეცეს ამ ამბის შესახებ თავისუფლადა სწეროსო. ახლა გენერალი შირინკინი „კავკაზში“ ოფიციალურად აცხადებს, რომ ეს ამბავი მოცლილ ფანტაზიის ნაყოფიაო.

— 25 ენკენისთვეს გაიფიცნენ ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფენი და სასწავლებლის მთავდობის თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს.

— 25 სექტემბერს, 12 საათიდან, გაიფიცნენ ტფილისის მეეტლეები და არ გამოსულან ბირჟაზე, სანამდის ქალაქის გამგეობამ 4 თვის ვადით არ დააკლა ფულის შეტანა. მოძრაობა მეეტლეებმა მხოლოთ საღამოდან დაიწყეს.

— ქალაქის გამგეობამ ვიატკის ქალაქის მოურავისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: ვიატკის ქალაქის საბჭო შეძრწუნებული იმ საშინელებით, რომელიც ქალაქის საბჭოს დარბაზში 29 აგვისტოს მოხდა და ღრმად აღშფოთებული უიარაღო, მშვიდობიან მცხოვრებთადმი არა ადამიანურ მოპყრობისათვის, გულწრფელს სამძიმარს უცხადებს ამ სისხლის ღვრის უდანაშაულო მსხვერპლთა პირუსუფლებს, ქალაქის გამგეობას და საბჭოს ხმოსნებს კი—გულწრფელ თანაგძნობას იმის გამო, რომ ასე გაბედულად და მედგრათ გამოუცხადეს პროტესტი ძალმომრეობასა და თვითნებობას. ვიატკის ქალაქის მოურავი პოსკრებიშევი“.

— 24 სექტემბერს სიღნაღში შავ რაზმელ ხულიგანებს უცემიათ რამდენიმე კაცისათვის, რადგან ეცვი მიუტანიათ, სოციალ-დემოკრატები უნდა იყვენო. პოლიციის ბოქაული და პოლიციელებიც იქვე მდგარან, მაგრამ ხულიგანებისათვის ხმა არ გაუციათ...

— „ნოვოე ვრემია“-ს სიტყვით, მოსკოვში გაფიცულ მუშებს ხელმძღვანელობენ ტფილისიდან და ბაქოდან მისული მუშები.

— 28 სექტემბერს, ტფ. სააოსამართლო პალატამ, წოდების წარმომადგენელთა თანადასწრებით, განიხილა საქმე ვიქტორ ყიფიანის და ს. ხვებისა, რომელთაც მუშათა კლასობ-

რივ ინტერესების დაცვისა და ახლანდელ სახელმწიფო წესწყობილების დამხობის პროპოგანდა ბრალდებოდათ. ყიფიანს ამ ჟამად „პატრიოტულ პარტიის“ წევრის კ. ზინჩენკოს მოკვლა ბრალდებოდა. პალატამ ყველა ბრალდებული პოლიტიკურ დანაშაულობის ჩადენაში გაამართლა, ხოლო ყიფიანს ზინჩენკოს მოკვლის თაობაზე ორი წლით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა.

— ვოდოვოზის ქუჩაზე, ყუმბარის სროლის შემდეგ, მოკლულ იქმნა ერთი მუშა, რომელსაც ჯიბეში პიტო მურზანაშკილის სახელზე პასპორტი უპოვნეს, გვერდზე გატენილი ყუმბარა ეგდო. იქვე მეორე ქუჩაზე ეჭვი მიიტანეს და შეიპყრეს პლატონ ჩახანელიძე. დაიჭირეს აგრეთვე ავაქ არუთინოვი, რომელზედაც ჯარის-კაცნი უთითებენ, ყუმბარა მაგან ისროლაო არუთინოვის გარდა დაჭერილია სენაკის მაზრის მცხოვრები ხორცანიანც.

— სამშაბათს, 27 სექტემბერს, მ. კოსოვსკის კერძო ქალთა სამკერვალოში, რომელიც იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, შადინოვის სახლში, მომუშავე ქალები გაიფიცნენ და პატრონს შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინეს: 1) ცხრა საათის სამუშაო დღე, (აქამდინ 12 საათს მუშაობდენ); საუზმე და სადილისთვის 1 საათის დასვენება; 2) ხელფასის მომატება და ჯამაგირების თვიურად დანიშნვა; 3) კვირა-უქმე დღეებში მუშაობის მოსპობა; 4) გაფიცვის დღეების ჯამაგირის უკლებლივ მიღება და 5) ადამიანური მოპყრობა. ქალებმა განაცხადეს, სანამ ამ მოთხოვნილებას არ დაკმაყოფილებთ, არც ერთი ჩვენთაგანი მუშაობას არ დაუბრუნდებაო. (ივერია).

— იმის გამო, რომ 27 სექტემბერს კაზაკებმა მიხაილოვის პროსპექტზე, შეურაცხყოფა მიაყენეს მეორე გიმნაზიის მოწაფეთ, 29 სექტემბერს, პირველ გაკვეთილის შემდეგ თფილისის მიწის მზომელთა სასწავლებლის სამივე კლასის მოწაფენი შეიკრიფენ და ორშაბათამდე მეცადინეობის შეწყვეტით გიმნაზიელებს თანაგრძნობა გამოუცხადეს. ამასთანავე მოითხოვეს პიროვნების ხელუხლებლობა.

— ამას წინათ ბაქოში მირზაბეგიანცის თამბაქოს ფაბრიკაში სრულიათ უმიზეზოთ დაითხოვეს 50 მუშა მაჰმადიანი, პოლიციის შეკითხვაზე მუშა სომხებმა განაცხადეს, ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ, თუ დათხოვნილი მუშები უკანვე დაბრუნდებიანო. მაგრამ, როდესაც მაჰმადიანი მუშები მივიდენ, სომხებმა მუშაობას თავი გაანებეს და ფაბრიკა დაკეტეს. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ეს ფაბრიკის გამგე ინჟენერ ადამოვის ბრალი ყოფილა, რომელიც დამშვიდების მაგივრათ სომეხ მუშებს აქეზებდა. ადამოვი დაატუსაღეს თურმე.

29 სექტემბერს, მე-10 საპოლიციო უბანში მოკლეს ი. ივანოვი, რომელიც „პატრიოტულ“ საზოგადოების პარტიას ეკუთვნოდა.

გასულ კვირის საყურადღებო დეპეშები.

24 სექტემბერს, მოსკოვი. საღამოს 5 და 6 საათს შორის პუშკინის ძეგლთან შეიკრიბნენ ბევრი მუშები, მოსწავლეები და საზოგადოება. წარმოითქვა სიტყვები. ჟანდარმთა რაზმმა როტმისტრ ველიჩკოვსკის უფროსობით გაფანტვა დაუწყო ხალხს, რომელმაც ქვები დაუშინა და რევოლვერები დაახალა. ველიჩკოვსკი მძიმედაა დაჭრილი—ტყვით; სტრასტნოი მოედანსა და ტვერის ბულვარზე მიტინგები ნაშუაღამევამდი გაგრძელდა. ხალხს ყაზახ-რუსები ფანტავენ, მაგრამ იგი ისევ იკრიბება.

ქალაქის ინჟენერებმა განუცხადეს ქალაქის გამგეობას, ყველანი სამსახურიდან გავალთ, თუ მუშების წინააღმდეგ რეპრესიული ზომები იხმარესო, რადგანაც გაფრცელა პანიკური საშუალებაა მუშებისთვის მათის ინტერესების დასაცველათო. ინჟენრები რეპრესსიულ ზომებს ხედავენ ზეინკლებისა და ტრამვაიზე მომუშავეების მომავალ დათხოვნასა და წყლის მილებისთვის სამხედრო ყარაულების დაყენებაში და აგრეთვე ქალაქის განზრახვაში, თუ წყლის მილებზე მომუშავეებმა თავი გაანებეს მუშაობას, მათ ადგილზე საპიორები ჩააყენონ.

ყველა საბულკეებსა და ფურნეებში ძალზე ყიდულობდენ დღეს პურს. ბევრმა ფურნემ ვერც კი დააკმაყოფილა პურის ყველა მყიდველები. გამოირკვა, რომ გუშინ კიდევ დაიჭრა ორი ჟანდარმი ქვებით, ერთი ჟანდარმი მოკვდა ტყვიისაგან, ყაზახების ერთი აფიცერი ხალხმა გასთელა ფეხებით. ერთი სტუდენტი ავიდა პუშკინის ძეგლზე სიტყვის წარმოსათქმელათ, მაგრამ ხელები მოუსხლტა და დაიმტვრა. ყაზახები და ჟანდარმები ცივის იარაღით მოქმედებდენ და ვერ მიუახლოვდენ ხალხს, რომელიც ტყვიებს ისროდა. ღამით, როცა ხალხი საბოლოოთ გაფანტეს, ბევრი აღმოჩნდა ცივი იარაღით დაჭრილი.

24 სექტემბერი. შუადღეზე მ. ბულკეები ფილიპოვის პურის საცხობის ეზოდან ავიდენ სახლის ჩარდახსე და აგურები დაუშინეს იქიდან ჯარებსა და ჟანდარმებს. ყაზახ-რუსებს ებრძანათ ესროლათ ზევით, მაგრამ არავინ არ დაშავებულა. გუშინ, სალამოს, ტვერსკოი ბულვარზე, საცა მიტინგი იყო გამართული, ხალხის გაფანტვის დროს რამდენიმე კაცმა მკლავები მოიმტვრია, დაშავდა და ფეხები იღრძო. საავათმყოფოში რამდენიმე დაჭრილი სტუდენტი მიიყვანეს. არეულობა არ შეწყვეტილა. გაზეთები არ გამოდის. ბევრია დაშავებული როგორც დემონსტრანტებში, ისე პოლიციასა და ყაჩახ-რუსებში.

26 სექტემბერი. უწესოების დროს დაშავებულთა რაოდენობა მთავრობამ არ იცის. უმრავლესობა მსუბუქადაა დაჭრილი და სახლებში წავიდ-წამოვიდენ. პოლიციაში მკვდარი არ არის. ჟანდარმი ჭრილობისაგან მოკვდა. მძიმედ დაჭრილია სამი კაზაკი და ერთი გოროდოვოი. მსუბუქათ დაჭრილია ოცამდე გოროდოვოი. დღეს ქუჩებზე სალამომდგ შედარებითი წესიერება იყო. მიღებულია საჭირო ზომები. პოლიციელთა და დარაჯთა რიცხვი გამრავლებულია. გამოირკვა, რომ გუშინ, როცა მებულკეებს ესროდენ, ტყვიები ცარიელ სახლის ჭერს მოხვდა. შეიპყრეს 192, ციხეში ჩასვეს 65, დანარჩენი გაანთავისთფლეს. ორეხოვო-ზუევში გაიგზავნა 200 კაზაკი.

ქუჩებში გაკრულია გრადონაჩალნიკის განცხადება, რომლის ძალით აკრძალულია თავის მოყრა მოედნებსა, ბულვარებსა, პასსაჟებსა და ტროტუარებზე, ვინც ამ განკარგულებას დაარღვევს, ჯარიმათ 500 მ. გადახდება ან სამი თვით იქნება ჩასმული საპყრობილეში. დღეს კიდევ არ გამოსულა გაზეთები.

პეტერბურგის გაზეთებში დაბეჭდილია, ვითომც ფილიპოვის სახლის მახლობლად 8 კაცი მოეკლათ. ეს ცნობა ტყუილია. დღეს ბევრმა სტამბამ დაიწყო მუშათა დათხოვნა. ხვალ იქნება კრება მესტამბეთა და ასოთ-ამწყობთა რწმუნებულებისა, რომ როგორმე საბოლოო შეთანხმება მოხდეს.

დოლგორუკოვის ქუჩაზე, ზაგესტის ფაბრიკის მახლობლით, პოლიციასა და გაფიცულთ შეტაკება მოუხდათ. გაფიცულთ სროლა დაუწყეს პოლიციელებს და მძიმეთ დასჭრეს უბნის ზედამხედველი და გოროდოვოი.

27 სექტემბერს. რადგანაც იელისში ბალაშოვში დაშა-

ვებული ექიმები პიროგოვის ექიმთა საზოგადოების წევრებათ ითვლებიან, პიროგოვის საზოგადოებას განზრახვა აქვს პასუხის გებაში მისცეს სარატოვის გუბერნატორი სტოლიპინი რუსეთის საზოგადოების წინაშე. ასოთ-ამწყობნი განაგრძობენ ჯიუტობას. შეიკრიბენ და დაადგინეს,—შეგვიძლიან გამოვნახოთ ისეთი საშუალება, რომ შეგვეძლოს გაფიცვის განგრძობაო. თითოეული ასოთ-ამწყობი დღეში ექვს შაურს იღებს შემწეობათ, ოღონდ კი მუშაობა არ დაიწყოს. გუბერნატორმა გუბერნიის ყველა მაზრის უფროსს გაუგზავნა ცირკულიარი სახემწიფო სათათბიროში არჩევნების წეს-რიგის შესახებ.

—

მოსკოვი, 28 სექტ. 23 სექტ.„ სტრასტნოი“ ბულვარზე დემონსტრაციის დროს ქვით დაშავდენ ჟანდარმის აფიცერი უნტერ-აფიცერი, ტყვიით—ჟანდარმი. ხალხიდან არავინ დაჭრილა. 24 სექტ. „მოსკ. ლისტოკ“-ის რედაქციის მახლობლათ დაიჭრა სამი პოლიციელი, ნიკიტის კარებთან ერთი. დრაგუნების ესკადრონს ნიკიტის ბულვარზე ხალხმა ქვა დაუშინა. ერთი დრაგუნი მძიმეთ დაშავდა. სალამოზე ამავე ადგილას სროლა ატყდა. მსუბუქათ დაიჭრა ვინმე მახოტინი და მძიმეთ ორი კაზაკი. არავინ მომკვდარა. ორი კაცი მჭრელ იარაღით დაიჭრა. 25 სექტ. ფილიპოვის საკანდიტეროსთან ქვებით მძიმეთ დაშავდნენ კაზაკი, სამი პოლიციელი და უბნის ზედამხედველი, რომელიც შემდეგ გარდაიცვალა. 28 სექტ. დუქსას ქარხანასთან მეეტლე დასჭრეს. 26 არეულობა არ ყოფილა.

—

ტომსკი. უნივერსიტეტის საბჭო საჭიროთ სთვლის უნივერსიტეტის გახსნას. სტუდენტთა ყრილობამ ხმის უმეტესობით, წინაალმდეგ 250 ხმისა გადასწყვიტა სწავლა დაიწყონ. 117 სტუდენტს ხმა არ მიუცია.

რუსეთის ქრონიკა.

22 სექტემბერს, პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ, წოდებათა წარმომადგენელების თანდასწრებით, სტრუმილოს პეტრაშკევიჩის და სხვათა საქმე განიხილა და შემდეგი დაადგინა; ობერ ათეტერის შვილი ჩესლავ სტრუმილო პეტრაშკევიჩი დამნაშავეთ იცნეს სასხ. სამარ. კანონდ. 126, 53 და 17 მუხ. ძალით და გპდასახლება მიუსაჯეს, ადნაურ მიხეილ კრუჩინსკის სასხ. სამარ. კანონდ. 129 მუხ. ძალით ერთი წლით დაპატიმრება მიუსაჯეს; გლეხ ანნა ჭილატოვის ქალს სასხ. სამ. კანონდ. 129 მუხ. ძალით 3 თვით და 16 დღით დაპატიმრება მიუსაჯეს, მეშჩანინ სმირნოვს სასხ. სამარ. კანონდ. 120 მუხ. ძალით დაპატიმრება მიუსაჯეს. პოდპორუჩიკის ქალი მარიამ მალტევა, მეშჭ. ელენა კოსარევა, მეშჭ. მიხეილ დებედევი, ადნ. გერა გენარიუსი, მეშჭ. ნიკოლოზ პანინი, მატროსი სტეფანე მაზანი და გლ. ალექსანდრე შელნიკოვი სასამართლომ გაამართლა.

—

სამღვდო მინისტრის ადმირალი ბირილევის წინადადებით, ნაფიც ვექილებს აუკრძალეს მეზღვაურების დაცვა, იმ შემთხვევაში თუ დამნაშავემ სამხედრო დისციპლინის და უფროსების საწინააღმდეგო რამ ჩაიდინა.

—

არკუტის გენერ.-გუბერნატორს მეორეჯერ ადუძრავს შუამდგომლობა გაანთავისუფლონ ყველა პოლიტიკური დამნაშავეები, რომლებიც მისდამი რწმუნებულ გუბერნიებში იმყოფებიან.

Р. В.

—

სარატოვის საერობო გამგეობას ახლათ ჭქონდა მინისტრთან საჩივარი გაეგზავნა უახახ-რუსების უდიერ ქცევაზე, მაგრამ გუბერნატორმა ნება არ დართო.

Р. Б.

—

ასხაბადში კავკასიაში მომხდარ ამბების გამო ქუჩებში შეიარადებული ბატრუღები და უახახ-რუსები დადიან.

Р. Сл.

—

ხარკოვში გაუხსნიათ სომხის „ზიკარის სახლი, სადაც უნახავთ რამდენიმე ვინტოვკა, 2665 ვინტოვკის და რევოლვერის პატრონები და ხინჯლები. ზიკარს უთქვამს იარადი სომეხთა კომიტეტმა მომაბარა ალექსანდროპოლში გასაგზავნათო.

Р. Сл.

—

ნიჟნი ნოვგოროდში 13 ენკენისთვეს დაბატიმრეს ნაფიცი ვექილი ჭუმჩუგოვი, რომელიც პოლიციის მინისტრის ტრეხოვის გახკრეულებით სამი წლით ვოლოგოდის გუბერნიაში იგზავნება.

ამ პოლო ხანში ნაფ. ვექ. ჭუმჩუგოვი ხშირათ გამოდიოდა ისეთი პირების დამცველათ, რომელთაც ბრალდებოდა მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებანი.

Врач.

—

სარატოვის სამოსამართლო პალატაში 13 ენკენისთვეს კარჩაეს 19 წლის მეშჩანინის შუშკოვის პოლიტიკური საქმე. ბრალდებული 132 მუხლის ძალით იყო მიცემული პასუხის გებაში. პალატამ შუშკოვი გაამართლა.

Р. Сл.

—

1 სექტემბერს ნეჟინში სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე 20 წლის აბრამ ლანგოსი, რომელსაც განზრახვა ქონდა მოეკლა ნეჟინის პოლიციის ბოქაული კრუშჩინოვსკი, მაგრამ მსუბუქად დასჭრა. ლანგოს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს. (ნ. ჟ.).

—

პეტერბურგში ამ ჟამათ სასტიკი გამოძიება სწარმოებს ორ საიდუმლო სტამბის შესახებ, რომელიც ეხლა-ხან აღმოუჩენიათ პეტერბურგში. სამართალში მიცემულია 40 კაცი. ყველანი დაპატიმრებულნი არიან. რუსეთის საუკეთესო ვექილები ბრალდებულების დაცვას უსასყიდლოთ კისრულობენ. (ნ. ჟ.).

—

პეტერბურგში დაიხურა, ახალ განკარგულებამდე, ჩრდილოეთის ფარმაცევტთა საზოგადოების ბიურო.

—

ვარშავაში მოკლეს ერთი მეეტლე. მეეტლეები დაეხვივნენ საეჭვო პირთ, სამი მათგანი მოკლეს და 4 დასჭრეს ებრაელების უბანში.

—

კემიდან ტელეგრაფით იუწყებიან, 23 სექტემბერს, სალამოს, სელკიასარზე, ქალაქიდან ერთი კილომეტრის მანძილზე, ჟანდარმებმა იპოვნეს ქვიშაში ჩაფლული 17 ვინტოვკა, 2 ხიშტი და სამი ყუთი და ორი პაკეტი რევოლვერის პატრონები.

—

პეტერბურგში 27 სექტემბერს შეერთებული სხდომა ქონდათ იდგილობრივ კონსტიტუციონალურ-დემოკრატიულ კომიტეტის ბიუროებს. კრებას, ცენტრალურ ბიუროს წევრთა გარდა, დაესწრო მოწვეულნი, პროფესორები, ლიტერატორები, ვექილები, საავადრო-სამრეწველო კლასის წარმომადგე-

ნელნი და სხვ.; ცენტრალურმა კომიტეტმა კრებას წარუდგინა საბოლოოთ შემუშავებული პროგრამა, რომელიც, ჯერ ერთი, უარყოფს სახელმწიფო სათათბიროს არსებობას იმ სახით, როგორიც განზრახულია, და, მეორე, ცენტრალური კომიტეტი, მთელი თავის ძალღონით მხოლოთ იმასა სცდილობს, რომ განახორციელოს საყოველთაო საარჩევნო უფლება, სათათბიროს მიენიჭოს საკანონმდებლო უფლება და შემოღებულ იქმნას კრებათა, პრესისა, პიროვნებისა და კავშირების თავისუფლება. კამათის დროს პროგრამის წინააღმდეგი არავინ აღმოჩენილა. შემდეგ განსაზღვრეს განსაკუთრებული საარჩევნო ნაწილები და ცენტრალურ კომიტეტის მიერ შემოღებულ იქმნა ინსტრუქციები ადგილობრივ კომიტეტებისათვის; ამ ინსტრუქციების საბოლოო რედაქცია მიენდო საქმის მწარმოებელთ. კრებამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ კრებათა თავისუფლება ჯერ არის და კრებათა გამართვა კი აუცილებლათ საჭიროა. რადგანაც უმისოთ შეუძლებელია საარჩევნო ბრძოლაა. კრებამ დაადგინა,—ნუ თუ დაგვაბრკოლებს ეს გარემოება და, სადაც მოვასწროთ, შეძლებისამებრ მაინც გავმართოთ კრებები. ამავე კრებამ იმედი გამოთქვა, თუ პოლიცია განიზრახავს კრებებს ხელი შეუშალოს, მით უფრო კარგი, რადგან ეს საუკეთესო შემთხვევა იქნება აგიტაციების მოხდენისათვის პარტიის სასარგებლოთ.

—

ადესაში სტუდენტების ყრილობამ სამ დღეს გასტანა. ორატორთა უმრავლესობა სწავლის დაწყების წინააღმდეგი გამოდგა.

უცხოეთის ქრონიკა.

სოციალისტები და საერთაშორისო მშვიდობიანობა. ბრიუსელის გაზეთ „პიოპალ"-ში საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატის ვალიანის საინტერესო წერილია დაბეჭდილი. წერილი შეეხება სოციალისტების მნიშვნელობას და გავლენას საერთაშორისო მშვიდობიანობის დამყარების საქმეში. ვალიანი მთელ ქვეყნის სოციალისტებს მოუწოდებს და ურჩევს შეერთდენ ბრიუსელის სოციალისტურ ბიუროში, რომელიც შვინიერ და ძლიერ რაზმს შეადგენს მილიტარიზმთან საბრძოლველათ. ვალიანი ამტკიცებს, რომ ომსა და მილიტარიზმთან ბრძოლა მხოლოთ საერთო პოლიტიკურ გაფიცვით შეიძლება და სოციალისტებს ურჩევს პოლიტიკური გაფიცვა მოახდინონ ხოლმე იმ სახელმწიფოში, რომელიც გაბედავს და ომს გამოაცხადებს.

საფრანგეთის პარლამენტის მეორე დეპუტატმა სოციალისტმა დიუმონმაც უძღვნა ამ საგანს წერილი „ლ'აკსიონ"-ში. დიუმონი განსაკუთრებით საფრანგეთისა და გერმანიის ურთიერთობას შეეხო და ის აზრი გამოთქვა, რომ ამ ორ სახელმწიფოს შერიგება მხოლოთ დემოკრატიას შეუძლიანო და სხვას არავისაო. ეს ორი სახელმწიფო ახლაც იმიტომ არი გადაკიდებული, რომ გერმანელებს სჯერათ, ვითომ საფრანგეთის ერი მანამდის არ დამშვიდდება, სანამ ელზას-ლოტარინგიას არ დაიბრუნებსო. ფრანგები მშვიდობიანობას უფრო ძვირათ აფასებენ, ვიდრე ორ ნაჭერ მიწას—სწერს დიუმონი. —ფრანგებს ჯერათ, რომ დღეს თუ ხვალ ელზასი და ლოტარინგია თავისუფალი წევრები იქნებიან ევროპის თავისუფალ სახელმწიფოთა ფედერაციისა და ამიტომ მათ დაბრუნებას აღარ ცდილობენ. მაგრამ თუ ზოგჯერ პოლიტიკური ზღვა აღელდება და ომს გვიქადის ხოლმე, ეს ორივე სახელმწიფოს მთავრობის ბრალია და არა ხალხისა. მთავრობას ხშირათ იქამდის მიყავს საქმე, რომ ომი აღვილი შესაძლებელი ხდება. ომის ასაცილებლათ, დიუმონის აზრით, საჭიროა დემოკრატიის შეერთება, საჭიროა, რომ დემოკრატიამ პირდაპირი მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკაში, ან თუ ომი აუცილებელი გახდა—საერთო პოლიტიკური გაფიცვა მოახდინოს და ორივე მებრძოლ მთავრობას ხელ-ფეხი შეუკრას.

შინაური მიმოხილვა.

მრავალი მოვლენა, რომლებიც წინეთ ჩვენ ყურადღებას იქცევდა, დღეს სრულებით აღუნიშნავი გვრჩება. ჟამთა-ვითარებამ დღეს ჩვენ ისეთი მძიმე საკითხის გადაწყვეტა გვარგუნა, რომ ძალაუნებურათ გვერდს უვლით ბევრ ისეთ რამეებს, რასაც სხვა დროს უყურადღებოთ არ დავტოვებდით. განსაკუთრებით თავი იჩინეს ასეთ მოვლენებმა ამ უკანასკნელ დროს. ბრწყინვალე და ცხოველმყოფელ ძალებთან ერთათ თავი წამოყვეს ყველა ბნელმა და დუხჭირმა ძალებმაც. ისე დღე არ გაივლის, რომ სადმე ბნელმა და ბოროტმა ძალებმა თავი არ იჩინონ და თავისი შხამი არ გადმოანთხიონ. რამდენათაც ძლიერია ბრწყინვალე ძალების გავლენა და ძლევა-მოსილება, იმდენათ უფრო სასტიკი ხდება ბნელ და ბოროტ ძალების მოქმედება. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ დღეს მათი დღეები დათვლილია, რომ ეს არის მათი უკანასკნელი სულის თქმა, მათი აღსასრული. ყველა ამის გვერდით საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ჩვენ ვხედავთ მრავალ ისეთ რამეებს, რაც უფრო ჩვენში სიცილს იწვევს და რაც დაცინვის ღირსია. თავისთავათ იგულისხმება, რომ ათასში ერთხელ ასეთ დუხჭირ მოვლენების მხილებაც აუცილებლათ საჭიროა. ჩვენ აქ უნდა აღვნიშნოთ ზოგი ასეთი მოვლენებიც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან.

გაზეთებიდან ვიცით, რომ ეკრეთ წოდებული საერობო კამპანია ჩვენში თითქმის დასრულდა. ჩვენ არ შევეხებით იმ ათასგვარ შეცდომებს და წინააღმდეგობებს, რომლებიც ამის გამო იქნა ჩადენილ ამა თუ იმ პარტიის წარმომადგენელების მხრით. ყველა ამაში სინამდვილის გამომჟღავნება და ამის შესახებ თავისუფალი მსჯელობა ყველასათვის დიდათ სასარგებლოა, მაგრამ ეს ჯერ ჩვენთვის შეუძლებელია. რომ აქ ბევრი შეცდომა არის ჩადენილი, ეს დღეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს. კიდეც ვიმედოვნებთ, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, ამას ჩვენ აქ არ ვეხებით. ჩვენ აქ უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთ პირების საქციელი აწ დამთავრებულ საერობო სათათბიროებში. ყველაზე უფრო მეტი ხმაურობა ერობის შემოღების გამო რა თქმა უნდა, ქუთაისში იყო. ცნობილია, რომ ქუთაისი ყოველკარ სალაყბოს ალაგია, და რა გასაკვირალია, თუ საერობო სათათბიროები აქ სწორეთ ამ ლაყბობის მთავარ ადგილათ გადაიქცეოდა. და ეს სწორეთ ასეც მოხდა. ორატორები და სხვადასხვა პარტიის წარმოადგენელები ერთი მეორეს ეჯიბრებოდენ ენა-მახვილობაში და მჭერმეტყველობაში. მაგრამ ყველაზე უფრო ისახელა აქ თავი ქუთაისის ძველმა გვირმა, ქუთაისის მეტრიარა მოღაწეების მეთაურმა, ჭაბუკურის შავი ქვის მოღვაწემ, ბ-მა გ. ზდანოვიჩმა. ამ ვაჟბატონის „საგმირო საქმეების" შესახებ ლაპარაკით თავს აქ არ მოგაბეზრებთ, და ეს არც ისე საჭიროა. საჭიროა შევნიშნოთ მხოლოთ, რომ ამ ვაჟბატონმა ყოველგვარი საზოგადო ხასიათის საქმე ქუთაისში თავის და თავისი დამჭაშების სრული მონოპოლიათ გახადა. საერობო კამპანიამ ყველას აშკა-

რათ დაანახვა, რომ ბ-ნი ზდანოვიჩი ერობის შემოღებასაც მხოლოთ ამ თვალით უყურებს; იგი კარგათ გრძნობს, რომ ეს გვარიანი ლუკმა იქნება, და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ხელიდან არ გაუშვას. რა თქმა უნდა, ჩვენ ყოველთვის დარწმუნებული ვიყავით და დღესაც ვართ, რომ მომავალი ერობა სწორეთ ბ-ნ ზდანოვიჩის მსგავს ,,მოღვაწეებს'' ჩაუვარდებათ ხელში, და აქ ჩვენ ბ-ნი ზდანოვიჩი მოვიხსენიეთ არა იმიტომ, რომ მისთვის ჩვენ ეს გვშურდეს; ჩვენ აქ გვსურდა აღგვენიშნა ის, თუ რა როლს თამაშობდა ბ-ნი ზდანოვიჩი ერობის სათათბიროებში. ბ-ნი ზდანოვიჩი, როგორც ყოველთვის, აქაც ხალხის უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ გამოდიოდა; იმას ერთი შემთხვევაც კი არ გაუშვია, რომ ხალხის სურვილი ფეხს ქვეშ არ გაეთელა. და წარმოიდგინეთ, რომ ყოველსავე ამას იგი ჩადიოდა, როგორც ხალხის წარმომადგენელი; ასე გეგონებოდათ, რომ იგი ერთათ ერთი წარმომადგენელია, რომელსაც უფლება აქვს ლაპარაკის და მოქმედების. აი დაუგდეთ ყური, თუ როგორ მჭერმეტყველობს ეს ვაჟბატონი.

,,ამბობენ, რომ კრებაზე ხალხია მისული და საჭიროა მათ ლაპარაკის ნება მიეცეთო. ჩემი ფიქრით, ეს შემცდარი აზრია, აქ მე ვერავითარ ხალხს ვერ ვხედავ. აქ ხალხი კი არა, შემთხვევით შეკრებილებია. გარდა ამისა, აქ შეკრებილან ხალხის მაგიერ არჩეული წარმომადგენელნი, რომელთაც ხალხის მიერ უნდა ილაპარაკონ და დაიცვან ამომრჩეველთა ინტერესები. არსად არ გაგონილა, რომ წარმომადგენელთა კრებაზე თვითონ ხალხსაც მიეღოს მონაწილეობა. თუ თქვენ გარეშე საზოგადოებას ხმის უფლება მიეცით, ადვილათ შეიძლება, ამა თუ იმ პარტიამ თავის მომხრეები მიიყვანოს კრებაზე, ძალა დაატანოს წარმომადგენლებს და შეაფერხოს აღძრულის კითხვების დამშვიდებით გარჩევა. ყოველ განათლებულ სახელმწიფოში **შემუშავებულია დისციპლინა**, რომელიც ჩვენთვისაც სახელმძღვანელოთ უნდა იქნეს...''

ასე მსჯელობა შეუძლია მხოლოთ ნამდვილ მატრაკვეცას. ბ-ნი ზდანოვიჩი ურცხვათ გაიძახის, რომ იგი კრებაზე „ვერა-ვითარ ხალხს ვერ ხედავს", რომ თუ იქ არის ხალხი, იგი „შემთხვევით შეკრებილია". ამნაირათ ბ-ნი ზდანოვიჩი კრებიდან აძევებს ხალხს, იმ ხალხს, რომელმაც მას საშვალება მისცა ხალხის წარმომადგენელათ გამოეცხადებია თავისი თავი. მას შემდეგ, რაც ბ-ნი ზდანოვიჩი წარმომადგენელთ, სკამზე წამოსკუპდა, იგი ხალხს აღარ ცნობს. და მხოლოთ თავისი თავი მიაჩნია ყოველგვარი უფლების მქონეთ. ბ-ნ ზდანოვიჩს კარგათ ესმის რასაც ჩადის; მან კარგათ იცის, რომ თუ ხალხს ლაპარაკის უფლება მიეცა, მას კარგი დღე აღარ დაადგება, და ამიტომ ყოველგვარ ღონეს ხმარობს, რომ ხალხი კრებიდან გამოდევნოს. ასეთ თავის საქციელს ბ-ნი ზდანოვიჩი სხვათა შორის განათლებული სახელმწიფოების მაგალითით ასაბუთებს, სადაც თურმე დისციპლინაა შემუშავებული და ყველანი იმას ემორჩილებიან. ბ-ნ ზდანოვიჩს ჩვენ აქ არ დაუწყებთ ლაპარაკს იმის შესახებ, თუ რამდენათ სამართლიანია მისი საქციელი, განათლებული ქვეყნის მაგალითი კი აქ სრულებით მოსატანი არ არის, ვინაიდან დღევანდელი ჩვენი პირობები სულ სხვანაირია. ასეა თუ ისე, დღეს ბ-ნ ზდანოვიჩს და მის ხელ ქვეითა მატრაკვეცებს ხვდათ გამარჯვება, მაგრამ უნდა იცოდენ კი, რომ ეს გამარჯვება მეტათ უიმედოა.

აღნიშვნის ღირსია უეჭველათ ერთი ჩვენი ფრიად „დამსახურებული" მოღვაწის საქციელი. ჩვენ მოგახსენებთ თ-დ აკაკი წერეთელზე. მართალია თ-დი აკაკი დიდი ვინმეა და მაზე ლაპარაკი ასე არ შეიძლება, მაგრამ რას იზამთ? როცა გორც ძველი რომაელები ამბობდენ,—საყვარელია პლატონი, მაგრამ ჭეშმარიტება კიდევ უფრო საყვარელია, ისე ჩვენც: მართალია ბ-ნ აკაკის პატივს ვცემთ, როგორც პოეტს, მაგრამ ჭეშმარიტებას კი იმაზე უფრო მაღლა ვაყენებთ. და ეს ჭეშმარიტება კი დაგვიფარა ბ-ნ აკაკიმ. საქმე იმაშია, რომ ამას წინეთ ,,მოგზაურში'' (№ 33) დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია სოფ. კორბოულადან, რომელშიაც ბ-ნ აკაკის ბრალს დებდენ იმაში, რომ მან გლეხს სანადელო მიწა გაუყიდა 120 მან., რის გამო ორ გლეხს შორის დიდი განხეთქილება ჩამოვარდნილიყო, და ბ-ნ აკაკის თხოვდენ პასუხს. სამწუხაროთ, ბ-ნ აკაკიმ დღემდის პასუხი არ გვაღირსა. არ ვიცით, რას მივაწეროთ ეს მ-სი გაჩუმება. გვახსოვს, ამასწინეთ ბ-ნი აკაკი წერდა გაზ. ,,ივერიაში:'' „ძალადობა, დარბევა, მიხტომა, გალახვა და სხვ. არ არის ქართველის ბუნება და ამ მხრით თავის დაჭერა და გონიერება მართებს ჩვენ გლეხობასო'' (№ 70). მაგრამ თუ გაჩანაგებულ და გალატაკებულ, მშიერ-მწყურვალ გლეხობას ,,მართებს თავის დაჭერა და გონიერება'', ვგონებ ქართველ თავად-აზნაურობასაც მართებდა ყოველივე ეს, და სხვათა შორის ისიც, რომ გლეხის ნადელის გაყიდვაზე იმათ ხელი აელოთ. ნადელის გაყიდვა ქართველ მუმამულეებისაგან რომ იშვიათი მოვლენა არ არის, ეს ჩვენ დიდი ხანია ვიცოდით, მაგრამ თუ ამას საქართველოს დიდებული მგოსანი ჩაიდენდა, ეს ჩვენ არ გვეგონა. ჩვენ ჯერ სავსებით კიდევ არა ვართ ამაში დარწმუნებული, ამიტომ ვთხოულობთ, რომ ბ-ნ აკაკიმ გადაჭრით გვიპასუხოს, მართალია თუ არა დასახელებულ კორესპონდენციაში მოთხრობილი ამბავი.

—

ბევრ ახირებულ აზრს და შეხედულებას აქვს ადგილი ქართულ პრესაში. ჩვენ ვიცით, მაგ. რომ ამ ორმოცდა ათი წლის წინეთ, ნეტარ ხსენებულ ივ. კერესელიძის ,,ცისკარში'' მაშინდელი ქართველი მკითხველი ამოიკითხავდა ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაკეთდეს მურაბა და ჟელე სხვადასხვა ხილეულობისაგან. ჩვენ გვეგონა, რომ ამ დროს სამუდამოთ გამოვემშვიდობეთ, მაგრამ მოვტყუვდით. აიღეთ გაზ. ,,ივერიის'' № 175-ს მეთაური და თქვენ დარწმუნდებით, რომ ივ. კერესელიძის დროს ჩვენ არც ისე დავშორებივართ. მართალია, ,,განახლებულ'' ,,ივერიის'' მეთაურ წერილში თქვენ ვერ იპოვით ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ კეთდება მურაბა ან ჟელე, მაგრამ სამაგიეროთ აქ თქვენ გაიგებთ, თუ როგორ უნდა იქცეოდეთ და გეჭიროთ თავი, როცა თეატრში ხართ. ბ-ნი გოგიჩაიშვილი თქვენ დარიგებას გაძლევთ, თუ როგორ უნდა იჯდეთ, როგორ უნდა ეწეოდეთ პაპიროზს, როგორ უნდა ილაპარაკოთ. ავტორი სასტიკათ კიცხავს იმათ, ვინც თეატრში თავისუფლათ იქცევა, დისციპლინას არ ემორჩილება და მით ბ-ნ გოგიჩაიშვილს, თავიდან ფეხებამდე ჯენტლმენს უსიამოვნებას აყენებს; ტყუილათ კი არ მიუღია მას განათლება გერმანიაში, ამ დისციპლინით განთქმულ ქვეყანაში. მაგრამ რაც ყველაზე უფრო აბრაზებს ბ-ნ გოგიჩაიშვილს, ეს ის გარემოება, რომ ქართველები, ასე დაუდევარი ასე უზრდელნი მხოლოთ შინ, თავის სახლში არიან, თორემ სხვებთან, უცხო ხალხთან, ისინი მეტათ ზრდილობიანი და თავდამჭერნი ყოფილან. მართლაც რა, თავის აგდებაა ეს ერთი ვიკითხოთ. მე კი ვიტყვი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ისევ ჟელეს გაკეთების ცოდნას ვარჩევ ასეთ ყოვლად უაზრო ყბედობას.

მაგრამ ყბედობაც არის და ყბედობაც. ყველა ყბედობას ერთნაირი გასავალი არა აქვს, თუ შენ ქართველი ხარ და

რუსულათ უბედობ, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და შეიძლება დიდ დანაშაულათ ჩაგითვალონ. მაგრამ, თუ ქართულათ უბედობ, ეს, რა თქმა უნდა, დიდ სამსახურში ჩაგეთვლება. აი ამის საბუთი. ამას წინეთ სამედიატორო სასამართალი უნდა მომხდარიყო ბბ. ს. ფირცხალავასა და პეტერბურგის სტუდენტებს შორის, მაგრამ არ მოხდა, მხოლოთ იმ მიზეზით, რომ ორი მხარე ვერ შეთანხმდენ იმაში, თუ რომელ ენაზე უნდა ელაპარაკათ და ოქმები ეწერათ: ქართულათ, თუ რუსულათ. ბ. ფირცხალავა თხოულობდა, რომ მას მხოლოთ ქართულ ენაზე შეუძლია ჩვენების მიცემა, ვინაიდან „ქართულ საზოგადო კრებებსა და დაწესებულებებში მას მხოლოთ დედა-ენის ხმარება აუცილებლათ მიაჩნია, და გარდა ამისა, თავის ინტერესებს იგი ქართული ენის საშუალებით უფრო დაიცავს. მეორე მხარე—სტ. გედევანიშვილი თხოულობდა, რომ რადგანაც მან ქართული ენა არ იცის, ამიტომ საქმის წარმოება რუსულ ენაზე იყოსო. რადგანაც ამის შესახებ ვერ შეთანხმდენ, ამიტომ სამედიატორო სამართალი აღარ შედგა. ეს შემთხვევა ღირსია მარტო ოდენ დაცინვის და მეტი არაფრის. ვინაიდან ორივე მხარე აქ ყალბ ნიადაგზე იდგა და ორივე ცრუობდა. მაგრამ ფ. გოგიჩაიშვილმა ამის გამოც გამოაცხო ერთი მეთაური (№ 176). ბ-ნ გოგიჩაიშვილის წერილიდან გამოდის, რომ რადგანაც სტ. გედევანიშვილს ქართული არ ცოდნია არა თუ საფუძლიანათ, არამედ „საყველპუროდაც'', ამიტომ ჩვენი ქვეყანა დაღუპულათ უნდა ჩაითვალოს. მას ველარაფერი ველარ უშველისო! საყველპუროთაც რომ ცოდნოდა ქართველ სტუდენტობას თავის დედა-ენა, მაშინ ხომ ჩვენ ბედს ძალი არ დაყენდა!

—

დღევანდელი ქრონიკა მე ერთი დევ-გმირის გაცნობით მინდოდა გამეთავებია. მაგრამ როგორლაც საუბარი ცოტა არ იყოს გაგვგრძელდა. სწორე მოგახსენოთ, მე ამ დევ-გმირის გაცნობით მინდოდა დამეწყო საუბარი; თქვენ უეჭველათ გეინტერესებათ, თუ ვინ უნდა იყოს ეს დევ-გმირიან სად, რომელ მხარეში აღმოჩნდა იგი? მოგახსენებთ მოკლეთ: მისი სახელი გახლავთ გ. კ. იგი ნავარდობდა „ცნ.-ფურცლის'' სვეტებზე. მისი მიზანია „კარლიკებთან“ (მესამე დაელებთან) ბრძოლა, მაგრამ რადგანაც თითონ დევ-გმირია, ამიტომ „კარლიკებთან“ ბრძოლა მაინც და მაინც დიდათ სასახელო არ უნდა იყოს. კიდევ სხვაა თავისივე მსგავს ბუმბერაზ არსებებს, დევ-გმირებს რომ შეებრძოლოს. თორემ კარლიკების დამარცხება რა ბიჭობაა! ყოველ შემთხვევაში ბ-ნ ბუმბერაზს გ. კ.-ს ტვინის ღიტინი უნდა ჭირდეს და განდიდების სენითაც უნდა იყოს შეპყრობილი. მისი განკურნება ჩვენ არ გვჯერა ხოლო მისი ტვინის ნაწარმოების დაფასებას იგი, იმედია, მოსწრება, ვისგანაც ჯერ არს. მინამ კი განისვენოს ილლუზიაში.

ვინ ესარჩლება სომხის პროლეტარიატს?

(პასუხათ ბ-ნ იშხანიანს).

მკითხველს უეჭველათ ეხსომება, თუ რას ამბობდა ჩვენი სომეხი ამხანაგი სომხების იდეოლოგებზე და თუ როგორ გვაფრთხილებდა ჩვენ იმათთან კამათის დროს. „თუ თქვენ გაინტერესებთ სომხების ყოფა-ცხოვრება, წერდა იგი, და გინდათ თქვათ ან დაწეროთ რამე ამ ხალხის მდგომარეობაზე ან კლასსობრივ წინააღმდეგობაზე, ვაი თქვენი ბრალი! თუ კრინტი დაძარით შესახებ სომხის ბურჟუაზიულ იდეოლოგებისა, მუდამ ბურჟუაზიის თავგამოდებული დამცველი სომხური პრესსა გააფთრებული დაგეცემა თავზე და გაგჭყლეტთ, იცოდეთო“ („მოგზ.“ № 35). მხოლოთ ახლა გაზ. „არშალუისში“ დაბეჭდილი წერილების შემდეგ გვესმის ჩვენ ამ სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობა. და მართლაც, სომხის ბურჟუაზიის იდეოლოგები არაფერს არ დაზოგავენ ოლონდ კი თავისი მოწინააღმდეგები დაამარცხონ. იმათი შეხედულებით ამ მიზნისათვის ყოველივე საშუალება, ყოველივე ღონე შესაძლებელია ხმარებულ იქმნას. სხვათა შორის ბ-ნ იშხანიანმა გვიჩვენა ამის დასამტკიცებელი საბუთი თავის წერილში „პროლეტარიატის განუვითარებელი იდეოლოგი“, რომელიც თავიდან ბოლომდე ჩვენ საწინააღმდეგოთ არის დაწერილი *).

ბ-ნი იშხანიანი არაფერს არ ზოგავს, ოლონდ ჩვენ მიწასთან გაგვასწოროს: უწმაწური ლანძღა-გინება, პიროვნების შეურაცხყოფა, ცილისწამება, აზრის და სიტყვების გადამახინჯება – აი ის საშუალებანი, რომელთაც მიმართავს გაზ. „არშალუისის“ თანამშრომელი ჩვენ დასამცირებლათ. ჩვენ წერილს „სომხების და თათრების ურთიერთ დამოკიდებულებას ამიერ კავკასიაში“ ბ-ნი იშხანიანი უწოდებს «შაგირდის ნაკარნახევს»; თვით ჩვენ—ბავშს, და ჩვენ მსჯელობას—„ბავშურ მსჯელობას“. მისი აზრით ჩვენ „ნაციონალისტური ფრაზეოლოგობით ვართ გატაცებული“, რომ ჩვენ „ქართველ მუშა ხალხს ვატყუილებთ“. მაგრამ ჩვენი ავტორი იმედოვნებს, რომ ეს ხალხი „არ მიყვება თავის უსაფუძლოთ მოლაპარაკე იდეოლოგებსო“ და ჩქარა გაიგებს, რომ „მისი წარმომადგენლები და მისი ინტერესების იდეოლოგები **) დღესაც კიდევ ვერ აცდენიან ქართველურს, სხვების მოძულე ნაციონალისტობას“. გარდა ამისა ბ-ნი იშხანიანი ჩვენ გვაწერს იმას, ვითომც ჩვენ სომხის ბურჟუაზიას ვამტყუნებთ იმაში, რომ „მან უფრო ადრე და უფრო კარგათ მოახერხა რევოლუცია ჩვენი ქვეყნის მრეწველობაში“; რომ ვითომც ჩვენ იმავე ბურჟუაზიას ბრალსა ვდებთ იმაში, რომ მან ეკონომიურ და კულტურულ ბრძოლაში დაამარცხა თავისი ეკონომიური მოწინააღმდეგენი და სხვილი კაპიტალები შექმნა». მაგრამ ავტორი არ კმაყოფილდება ამ ბრალდებით. მისი აზრით ჩვენ ვითომც ვამტკიცებთ, რომ «სომეხი ერი პატივსაცემი და სანდო არ არის, ვინაიდან მისი ბურჟუაზია კულტურულ-ეკონომიურ ევოლიუციაში ისეთი ნელი ნაბიჯით არ მიდიოდა, რომ მისი დაწევა შეძლებოდა ქართველ და თათარ ბურჟუაზიასა» „ეს არის წერილი ბურჟუაზიის და აგრარების მრწამსისაო“,— დაძენს ჩვენი ავტორი. „ეს არის «ივერიისებური» და «ცნობ.-ფურცლისებური“ (ჩვენ დავუმატებთ: „არშალუისებურიც“. ფ. მ.) მსჯელობა, და ამ აზრს არ უნდა იმეორებდეს ის ორგანო, რომელიც თავის თავს მარქსისტს ეძახისო“, თამამათ გაიძახის ჩვენი ავტორი. და მერე ვინა თქვა ეს? და მერე ვინ ამტყუნებდა ამაში სომხის ბურჟუაზიას, თუ მას მართლაც ამ საქმეში რაიმე წილი აქვს? საიდან შეთხზეთ, ან საიდან გამოიგონეთ ასეთი ჰორი, ბ-ნო იდეოლოგო? რისთვის იკისრეთ დონ-კიხოტის როლი და ქარის წისქვილებს ებრძვით? ჩვენ აი რას ვამბობდით სომხის ბურჟუაზიაზე: «ამიერ-კავკასიაში სომხის ბურჟუაზია ბევრათ უფრო ძლიერია სხვა რომელიმე ადგილობრივი ერის ბურჟუაზიაზე; და აი სწორეთ ამ ბურჟუაზიამ, სამღვდელოების დახმარებით, სრულიათ შებოჭა სომხის მშრომელი ხალხი საშუალ-საუკუნოების იდეების,

*) ეს წერილი მოთავსებულია გაზ. „არშალუისის“ № 21-ში. ქართული თარგმანი, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ, დაბეჭდილია გაზ; „ივერიაში“ (№ 174).

**) ჩვენ სრულებით ვემყარებით „ივერიის“ თარგმანზე, და ამიტომ ყოველგვარ პასუხის გებას იმის შესახებ, თუ რამდენათ თარგმანი დედანთან სწორეა, ჩვენ თავიდან ვიცილებთ.

ნაციონალისტურ შოვინიზმის საშუალებით. სომხის ბურჟუაზია და სამღვდელოება შეერთდენ სომხის პროლეტარიატის დასაბრკოლებლათ და თავიანთ მისწრაფებათა განსახორციელებლათ. სომხის ბურჟუაზიამ წამოაყენა სომხის მშრომელი ხალხის წინაშე ერთი მხრით ნაციონალისტური იდეალი და მეორე მხრით სომხის სამღვდელოება და ორივე ეს ეროვნულ საქმეთ დასახა. ამ ნაირათ სომხის ბურჟუაზიამ და სამღვდელოებამ თავის-კერძო ინტერესები ეროვნულ ინტერესებათ გამოიყვანეს და ამ ანკესზე მოყვა სომხის მშრომელი ხალხი" («მოგზ.» № 33). იქვე ამას ვუმატებდით იმას, რომ „სომხის ბურჟუაზიის იდეოლოგები, რევოლიუციონურ ორგანიზაციებიდან დაწყებული კრელიკალურ წრეებამდე, ერთა შორის მტრობას, ქიშპობას და ფანატიზმს ავრცელებენ", აი რას ვამბობდით, და აი რაში ვდებდით ჩვენ ბრალს სომხის ბურჟუაზიას და მის იდეოლოგებს. და იმის მაგივრათ, რომ ამაზე ეპასუხათ ჩვენ იდეოლოგებს, იმათ ფრონტი შეცვალეს, ის, რასაც ჩვენ სომხის ბურჟუაზიაზე და მის იდეოლოგებზე ვამბობდით, იმათ სომხას ერზე გადატანეს. ჩვენ კარგათ გვესმის, თუ რისთვის შეცვალეს ფრონტი სომხის იდეოლოგებმა: ჩვენი ბრალდების უარისყოფა იმათ არ შეეძლოთ, ვინაიდან ეს აშკარა ტყუილის მტკიცება იქნებაბოდა და ამიტომ ჩვენ მოგვაწერეს ის, რაც ჩვენ არ გვითქვამს. ამიტომ ჩვენ ვურჩევთ იმათ, სიტყვას ბანზე ნუ აგდებენ და პასუხი მოგვცენ იმაზე რაშიაც ჩვენ იმათ ვამტყუნებთ. კიდევ კარგი რომ ყოველსავე იმას, რაშიაც ჩვენ ბრალს ვდებთ სომხის ბურჟუაზიის იდეოლოგებს, ამოწმებს თვით სომეხი ამხანაგი, რომელსაც თითონ თავისი საკუთარი თვალით უნახავს ამ ვაჟბატონის ოინები. „თუ ვინმე ეკონომიურ მდგომარეობაზე და მეურნეობაზე ელაპარაკება პროლეტარიატს, მაშინვე გამოხტებიან რამდენიმე იდეოლოგები, რომელნიც თავის თავს მარქსისტებს უწოდებენ და პირზე ქაფმომდგარი იწყებენ ყვირილს სომეხთა ერის „ისტორიულ წარსულის შესახებო" („მოგ." № 35). ვინ არიან ეს იდეოლოგები?—მეკითხებით თქვენ, ბ-ნო იშხანიანო. ნუ თუ ესენი მუშა ხალხის ინტერესების დამცველები არიან? ჩვენ კარგათ ვიცით, თუ ვის იცავენ ისინი. და აი სწორედ იმათ შესახებ ვწერდით ჩვენც; აი სწორეთ იმათ მოღვაწეობას ვკიცხავდით. თქვენ კი ყოველივე ეს შეატრიალეთ და უკუღმა აქციეთ. თქვენ სხვისი ცილის წამებით და სხვისი სიტყვების და აზრის დამახინჯებით გინდათ ფონს გახვიდეთ. თქვენი ცილის წამების ნიმუშები ჩვენ რამდენიმეთ უკვე ვიცით. ახლა მოვიყვან იმის მაგალითს, თუ როგორ ამახინჯებთ თქვენ თავის მოწინააღმდეგის სიტყვებს. ჩვენ წერილში სხვათა შორის ნათქვამი იყო: „საუბედუროთ, სომხებთან მეზობლათ, თითქმის კარდაკარ ცხოვრობდა თათრობა, რომელიც ეროვნებრივათ სომხებზე **დაბლა თუ არა, მაღლა არ დგას** და რომელშიაც სარწმუნოებრივ ფანატიზმს კიდევ უფრო მაგრა აქვს ძირი გადგმული". აქედან აშკარაა, რომ თათრებს ჩვენ ეროვნებრივათ სომხებზე დაბლა ვაყენებდით; მაგრამ ბ-ნ იშხანიანს ეს ჩვენი აზრი ასე გადაუმახინჯებია: „მას (ე. ი. ჩვენ) ხომ არ რცხვენიან როდესაც თავის წერილში თათრის ერს **სომხებზე უფრო მაღლა თუ არა, არც მათზე დაბლა აყენებსო**". გადამახინჯებაც სწორეთ ამას ქვია. რა საკვირველია, ისეთ კაცთან, რომელიც ასე ამახინჯებს თავისი მოწინააღმდეგის სიტყვებს, რომელიც მხოლოთ ცილის წამების საშუალებათ გადის ფონს, პოლემიკა მეტათ საძნელო საქმეა, თითქმის შეუძლებელიცაა. მიუხედავათ ამისა ჩვენ მაინც იძულებული ვართ ბ-ნ იშხანიანს პასუხი მივცეთ, ვინაიდან ამას თხოულობს საქმე, და არა პირადი მოსაზრება.

დავანებოთ თავი ბ-ნ იშხანიანის ლანძღვა-გინებას, რომელიც მან პირადათ ჩვენ მოგვაყენა, და [illegible] ის, თუ რაში გვდებს ჩვენ იგი ბრალს. ჩვენ ორ უმთავრეს ბრალს გვდებს: 1) ვითომც ჩვენ ნაციონალურ იდეებს ვქადაგებდეთ და 2) ვითომც ჩვენ სომეხ-თათრების ქლეტის ახსნაში მარქსიზმისათვის გვეღალატებიოს. განვიხილოთ ბრალდებანი ცოტა უფრო დაწვრილებით ცალ-ცალკე.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რით ამტკიცებს ბ-ნი იშხანიანი იმას, რომ ჩვენ სომეხ-თათრების ურთიერთობის გარკვევაში ნაციონალური მიდრეკილებანი გამოვიჩინეთ, რომ ყოველივე ის, რაც ჩვენ ამის შესახებ ვთქვით, „ნაციონალისტს შეფერის", „ბურჟუაზიის და აგრარების მრწამსს" წარმოადგენს? როგორც ზევით აღვნიშნეთ, ჩვენი ავტორი ამის დასამტკიცებლათ ერთი მხრით იმას იმოწმებს, რომ ვითომც ჩვენ სომხის ბურჟუაზიას იმიტომ ვკიცხავდით, რომ ამ უკანაეკნელმა ქართველი და თათრის ბურჟუაზია დაამარცხა ეკონომიურ და კულტურულ ბრძოლაში, რომ მით „რევოლიუცია მოახდინა ჩვენი ქვეყნის მრეწველობაშიო"; მეორე მხრით ჩვენ ნაციონალისტობას ავტორი ხედავს იმაში, რომ ვითომც ჩვენ «თათრის ერს სომხებზე უფრო მაღლა თუ არა, არც მათზე დაბლა ვაყენებთ». როგორც ზევითაც დავინახეთ, ყოველივე ეს თვით ავტორის მიერ არის მოჭორებული და გამოგონებული, ან განზრახ ან კიდევ უნებლიეთ. ამნაირათ, როგორც ხედავთ, ჩვენ სრულებით ცუდათ არ მოგვიხსენებია სომხის ხალხი, როგორც ერი, ჩვენ საერთოთ სომხის ბურჟუაზიის და მისი დამჭაშ-იდეოლოგების მოქმედება სომხის პროლეტარიატის წინააღმდეგ მიმართული. მაგრამ აბა ახლა ყური დაუგდეთ ბ-ნ იშხანიანს, თუ როგორ იხსენიებს იგი თათრის ხალხს საერთოთ და მის პროლეტარიატს კერძოთ. „განა მომზადება კი და კლასიურ ინტერესების შეგნება არ ესაჭიროება თათარ და სპარსელ მუშებს, ამ **შეუგნებელ** და **საცოდავ ბრბოს**, რომელიც ერთი მხრივ ბნელ ძალთა, თათარ პოლიციელთა, იარაღათ ხდება და მეორე მხრით კი ასრულებს **თავის იდეოლოგ-პროვოკატორების ბრძანებას**»? ან ეგება „მოგზ." წერილის ავტორი ერთ დონეზე **აყენებს თათრის ბრბოს და მის მათხოვარ პროლეტარიატს** ერთ მხრივ და მეორე მხრივ კი **სომხის მუშა ხალხს**"? განა ამ სიტყვების ავტორს რაიმე უფლება აქვს სხვას უკიჟინოს ნაციონალისტობა? განა მას შეუძლია ამის შემდეგ ურთიერთპატივის ცემაზე და სხვადასხვა ერის პროლეტარიატის სოლიდარობაზე ილაპარაკოს, როცა იგი თათრის ხალხს „საცოდავ ბრბოს" უწოდებს, როცა იგი თათრის მთელ პროლეტარიატს მათხოვარის სახელით ნათლავს? ახლა ჩვენ ვიცით, თუ რაგვარ „მარქსისტებთან გვაქვს საქმე. ახლა ჩვენ გვესმის, თუ რათ ესობა ლახვარივით გულში ჩვენი სიტყვები სომხის ბურჟუაზიის წინააღმდეგ! ახლა კი ვიცით, თუ რისთვის მოგვდგენ ჩვენ ისინი, როცა სომხის პროლეტარიატზე და მის კლასსობრივ ინტერესებზე ლაპარაკი აღვძარით. ბ-ნ იშხანიანი „არშალუისის" ფურცლებზე ირწმუნება, რომ „სომეხ ბურჟუაზიის ექსპლოატაციის წინააღმდეგ იგი უფრო მედგრათ იბრძვის, ვიდრე ჩვენ ქართველ ბურჟუაზიის წინააღმდეგო". ბ-მა იშხანიანმა უნდა იცოდეს, რომ ცარიელ სიტყვებს დღეს გასავალი არა აქვს, და ამიტომ უნდა დაგვისახელოს, სად, როდის ან რაში გამოიხატა ეს ბრძოლა? შეიძლება ეს ბრძოლა, როგორც ამხანაგი ხეჩო ამბობს მარტო იმაში გამოიხატა, რომ სომხის იდეოლოგები მიდიან მუშებში, აღგზნებულათ ისვრიან მაღალ ფარდოვან, ამაღელვებელ სიტყვებს, რომელშიაც შეუგნებელთა ეროვნულ გრძნობაზე მოქმედებენ". დიახ ასეთები გახლავან სომხის პროლე-

ტარიატის დამცველები! თუ როგორ იცავენ ისინი ბურჟუაზიას, ამის შესახებ თვით ბ-ნ იშხანიანის წერილიც საკმარის საბუთს იძლევა. აქ იგი ქებით იხსენიებს სომხის ბურჟუაზიას, რომელმაც თურმე «რევოლიუცია მოახდინა ჩვენი ქვეყნის მრეწველობაში», რომელსაც თურმე დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ქვეყნის „ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში". სწორეთ ამიტომაც ალბათ გვეკითხება ბ-ნი იშხანიანი: „განა ცოდვათ ჩაეთვლება სომხის ბურჟუაზიას, თუ მან თავის კლასსობრივ გაბატონებისათვის თავის სასარგებლოთ გამოიყენა ყველა საზოგადოებრივი ძალები"? დიახ, ბურჟუაზიის იდეოლოგებისათვის აქ არავითარი ცოდვა არ არის! თუ სომხის ბურჟუაზია და სამღვდელოება გზას უბნევენ სომხის მუშა ხალხს, ამას ბ ნი იშხანიანი სავსებით ამართლებს, რადგანაც ამას ბურჟუაზია თავის გაბატონებისათვის ჩადის. რომ ამას ქადაგებენ ბურჟუაზიის იდეოლოგები, ეს ჩვენ დიდი ხანია ვიცით. მაგრამ ასე აშკარათ ეს არც ერთს ბურჟუაზიის იდეოლოგებს არ გამოუმჟღავნებია. ბ-ნი იშხანიანი ერთი ერთმანერთში ურევს კლასსობრივი ბრძოლის იდეას და მუშა ხალხის ინტერესების დაცვას. მისი სიტყვებიდან ასე გამოდის, რომ თუ თქვენ კლასთა ბრძოლა გწამს, უეჭველია ბურჟუაზიის ყველა ოინები, ყველა ზომები უნდა აქოთ და ადიდოთ, ვინაიდან ყოველსავე ამას კლასსთა ბრძოლაში აქვს საფუძველიო". ამიტომაც ეს ბურჟუაზიის იდეოლოგი გვისაყვედურებს, რომ „ჩვენ ძალიან ნაკლებათ გვესმის, თუ რა არის კლასსთა ბრძოლა ისტორიაში". საქმე ის არის, ჩვენო ბურჟუაზიის განვითარებულო „იდეოლოგო", რომ კლასსთა ბრძოლას ჩვენ პროლეტარიატის თვალთა ხედვის წერტილიდან ვუყურებთ და თქვენ კი ბურჟუაზიის კლასსთა ბრძოლას აღიარებთ. ბურჟუაზიის ყველა იდეოლოგი, მაგრამ მხოლოთ იმდენათ, რამდენათაც ეს ბურჟუაზიის ინტერესების სასარგებლოთ არის გამოსადეგი. სწორეთ ამ თვალით უყურებს კლასსთა ბრძოლას ბ-ნი იშხანიანიც.

ახლა გავიგოთ ის, თუ რაში ხედავს ბ-ნი იშხანიანი ჩვენი პრინციპების ღალატს? ბ ნ იშხანიანის აზრით, ჩვენ „ტალახში ამოვსვარეთ დემოკრატიზმი და მარქსისტული პრინციპების დამცველი ორგანო გავთხუპნეთ. სომხის ბურჟუაზიის იდეოლოგს ამაში კვერს უკრავს ქართველი ბურჟუაზიის ლეიბორგანო „ივერია", რომელიც ამბობს: „სომხებისა და თათრების ურთიერთობის შესახებ წერილში მახარაძეს კლასსობრივ ნიადაგზე ცოტათი ფეხი გაუსხლტაო". შემდეგ „ივერიას" მოყავს ჩვენი წერილიდან ის სიტყვები, რომლებიც სომხის ბურჟუაზიის იდეოლოგებს ეხება, როგორც ეს აშკარათ ჩანს წერილის შემდეგ სტრიქონებიდან, რომლებსაც ჩვენი მოწინააღმდეგე უყურადღებოთ ტოვებს. მაგრამ დავანებოთ თავი „ივერიას" და ისევ ბ-ნ იშხანიანის წერილზე გადავიდეთ. ბ-ნი იშხანიანი მწუხარებით მოგვითხრობს, რომ სწორეთ „მოგზაურისაგან" მოელოდენ სომხის ბურჟუაზიის იდეოლოგები თათრებსა და სომხებს შორის მომხდარ სისხლის ღვრის ობიექტიურათ ახსნა-განმარტებას, მაგრამ დახეთ სომხის იდეოლოგების უბედურებას, „მოგზაურმაც" გაუცრუვა იმათ იმედი! თურმე, სომხებსა და თათრებს შორის ატეხილ დავაში მოგზაურიც აცდა ობიექტიურათ მსჯელობას! ჩვენ არ ვიცით, რას უძახის ბ-ნი იშხანიანი ობიექტიურათ მსჯელობას: ჩვენ ვამბობდით, რომ სომხის ბურჟუაზიის იდეოლოგებს სამღვდელოებასთან ერთათ, დიდი ბრალი ედებათ იმ სისხლის ღვრაში და ჟღლეტა-ხოცვაში, რომელიც მოხდა და ხდება სომხებსა და თათრებს შორის. სომხის ბურჟუაზია თავისი ქადაგებით სომხის მუშებში სომხის ერის შესახებ, მის დანიშნულობაზე, მთელ სომხობის განკერძოვებულ ინტერესებზე ცდილობდა მტრობა, ჭიშპობა და სიძულვილი დაეთესა სომხის მუშა ხალხში სხვა ერის მიმართ. ამით იგი უნებლიეთ ამზადებდა ნიადაგს სისხლის ღვრისათვის. ამით ჩვენ სრულებით არ ვამართლებთ თათრის ბურჟუაზიას და მის სამღვდელოებას, რომლებსაც ამ მხრით იგივე ბრალი ედებათ, რაც სომხის ბურჟუაზიას და მის იდეოლოგებს. მაგრამ თუ ჩვენ სომხის ბურჟუაზიაზე ვლაპარაკობდით განსაკუთრებით, ეს მხოლოთ იმიტომ ამ უკანასკნელს ბევრათ უფრო ძალა და გამავლობა აქვს, ვინემ თათრის ბურჟუაზიას. ჩვენ რა თქმა უნდა, არც იმას ვუარყოფდით უარს, თუ ბნელში ძალებმა რა როლს ითამაშეს ამ საშინელი სისხლის ღვრაში*); მაგრამ ჩვენ იქ ამაზე არ ვლაპარაკობდით. ჩვენ იქ გვინდოდა გვეჩვენებია ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ამ საშარ ცხვინო სისხლის ღვრას ორ მოძმე და მეგობარი მუშა ხალხში. ამ მიზნით ჩვენ აღვნიშნეთ სომხის ბურჟუაზიის შოვინისტური ნაციონალიზმში, კრელიკარულ სამოსელში გახვეული, რომელიც მიმართულია სომხის მუშა ხალხის გონების და მათი კლასსობრივი შეგნების დასახშობათ. აი ეს გარემოება არ მოეწონა სომხის ბურჟუაზიის იდეოლოგებს და მის დამქაშებს, მაგრამ ერთი ვიკითხოთ. აქ რა შუაშია ან ნაციონალიზმი ან პრინციპების ღალატი, ჩვენ გვესმის, რომ სომხის ბურჟუაზიის იდეოლოგებს არ ესიამოვნებოდათ, როცა მათ ჩვენ საკუთარი სახე დავანახვეთ სარკეში. ჩვენ ვამბობდით, რომ „სომხის მუშა ხალხი რომ მომზადებული ყოფილიყო და თავისი კლასსობრივი ინტერესები შეგნებული ქონებოდა, მაშინ არ მოხდებოდა ის „რაც მოხდა". ბ-ნ იშხანიანის აზრით, ეს „ან ბაეშვის მსჯელობაა ან განზრახი სიავე ორში ერთია. სომეხ მუშების მოუმზადებლობა და მათგან კლასსობრივი ინტერესის გაუგებრობა ამ ისტორიული დრამის მიზეზი რომ იყოს,—ამის თქმა იმას ნიშნავს, რომ, ან მუშა კლასს სომეხ ბურჟუასთან ერთათ აბრალებენ ხსენებულ საქმის დაწყებას, ან ამბობენ, **რომ იგი** (ე. ი. მუშა კლასი) **ბურჟუაზიის ხელში ბრმა იარაღივით მოქმედებდაო**". უბედურებაც ის არის. რომ, როგორც თათრის მუშა ხალხი თათრის ბურჟუაზიის და სამღვდელოების პრძანებებს ასრულებს, რასაც ბ-ნი იშხანიანი სრულებით არ უარყოფს, ისე სომხის მუშა ხალხი „სომეხ ბურჟუაზიის ხელში ბრმა იარაღივით მოქმედებდა და დღესაც მოქმედებს. რომ ეს ასე არ ყოფილიყო, ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თათრებსა და სომხებს შორის სისხლის ღვრა არ მოხდებოდა. მართალია ბ-ნ იშხანიანს ეს „ბაეშვის მსჯელობათ" მიაჩნია, მაგრამ თქმა ადვილია, და დამტკიცება კი ძნელი. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბევრ ადგილას მხოლოთ მუშა ხალხის მომზადებული და თავისი კლასსობრივი ინტერესების შეგნებით თავიდან აცილებულ იქნა მსგავსი შეტაკება. და ეს ასეც უნდა იყოს. მხოლოთ შოვინისტური ნაციონალიზმით დაბრმავებულთ შეუძლიათ სხვა ნაირათ იფიქრონ. ჩვენ კი, ვინც კლასთა ბრძოლის ნიადაგზე ვდგევართ, ვინც ყოველგან ყველაზე წინ დაჩაგრულთა ინტერესებს ვაყენებთ, ერთ წუთსაც ვერ ვუღალატებთ ჩვენ პრინციპებს. ჩვენ არ უარვყოფთ არც ერს, და არც ეროვნულ განხეთქილებას, და ყოველივე ეს ჩვენთვის სრულებით ფიქცია არ არის, როგოროც ეს ზოგიერთებს გონიათ, მაგრამ ყოველივე ეს ჩვენ მივაჩნია ისეთ მოვლენებათ, რომლებიც აღმოცენებულია კლასსობრივი ბრძოლის ნიადაგზე.

ბ-ნი იშხანიაი წუხს, რომ იგი ჩვენ ვრცელ პასუხს ვერ გვაძლევს, და მხოლოთ გაცვეთილი და ათას ჯერ გადაღე-

*) იხ., მოგ. „ჩვენი წერილისა: „ბაქოს ამბების გამო" „მოგზ." № 6.

ჭილი ლიბერალური ფრაზებით კმაყოფილდება, გარდა იმისა, რომ ლანძღვა-გინებით, ცილის-წამებით და ჩვენი აზრების და სიტყვების გადამახინჯებით იბრძვის ჩვენ წინააღმდეგ. სწორეთ მოგახსენოთ, ჩვენც ვწუხვართ, რომ ბ-ნ იშხანიანმა არ გაგვაგებია, თუ, მისი აზრით, რითი უნდა აიხსნას სომეხთათრების ასეთი გამწვავებული ურთიერთობა ამიერ-კავკასიაში. ჩვენი წერილიდან მკითხველი დაინახავდა, რომ 1) ბ-ნი იშხანიანი თითონ ეკუთვნის ნაციონალისტების ჯგუფს, 2) იგი გამოდის როგორც სომხის ბურჟუაზიის იდეოლოგი და 3) მუშა ხალხის დაბრმავებაში იმასაც აქვს თავისი წილი.

ფ. მახარაძე.

პროფესიონალური კავშირები დასავლეთ ევროპაში.

(თარგმანი).

შრომასა და კაპიტალს შორის დიდი ხანია ბრძოლა სწარმოებს.

მას შემდეგ რაც დაეცა დამოკიდებულ ხელოსანთა წოდება და მსხვილმა კაპიტალმა ხელში ჩაიგდო საწარმოო იარაღები, თითონ ხელოსანი კი დაქირავებულ მუშათ გადაქმნა,—ეს დიადი ბრძოლა კაპიტალსა და შრომის შორის თან და თან უფრო ფართოვდება და ძლიერდება.

ბრძოლა მომზადებას, ორგანიზაციას მოითხოვს, ამიტომაც—იფეთქა თუ არა პირველათ დიდებულმა ბრძოლამ, დაიწყო მუშათა კლასის ორგანიზაციამ შექმნის პირველი ცდა.

ინგლისში, რომელიც კაპიტალიზმის კლასსიკურ ქვეყანას წარმოადგენს, დიდი ხანია საბოლოოთ დაეცა დამოუკიდებელი სახელოსნოები. იქ, დიდიხანია სხვილ კაპიტალისტურმა წარმოებამ მოიკიდა ფეხი, დიდი ხანია გაჩნდენ კაპიტალისტები და დაქირავებული მუშები და შრომას და კაპიტალს შორის ბრძოლასთან ერთათ ამ ბრძოლისთვის მზადება, ორგანიზაცია დაიწყო. პირველ პროფესიონალურ კავშირებს ინგლისში 200 წლის წინეთ ვხვდებით.

როგორც ინგლისის პარლამენტის ოქმებიდან ჩანს ჯერ კიდევ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ყოფილა იქ მუშათა კავშირები.

1720 წ. თერძები ჩივიან პარლამენტში, რომ მათი შაგირდები რიცხვით 7000 კაცამდე შეკავშირდენ, რათა სამუშაო დღის შემოკლება და ქირის მომატება გაიტანონ.

1717 წ. დევონშირის და სომერსეტშირის მატყლის მუშები კარგა მოზრდილ კავშირს შეადგენდენ. 1747 წ. გაჩნდა მატყლის მჩეჩავთა ორგანიზაცია.

ინგლისის მოძრაობის ძველი მატიანეები მოგვითხრობენ, თუ რა სახის ორგანიზაციები ქონიათ მუშებს თავდაპირველათ. ამ ნაირი ორგანიზაციები უმეტეს შემთხვევაში სასადილოებში შეუქმნიათ, სადაც მუშებს ჩვეულება ქონდათ მუშაობის შემდეგ თავის მოყრისა და თავიანთ ჰირ-ვარამზე სჯა-ბაასისა. ასე რომ უმთავრეს ცენტრებს მუშათა პირველდაწყებით ორგანიზაციებისა ტრაქტირები და სასადილოები წარმოადგენდენ.

ახალი წევრის მიღება უჩვეულო საიდუმლოებით იყო გარემოცული. ვისაც კავშირში შესვლა სურდა ჯერ ფიცი უნდა მიეცა ამხანაგებისათვის, შემდეგ მას სასტიკათ გამოცდიდენ და მხოლოთ ასეთი ცერემონიების შემდგომ მიიღებდენ ორგანიზაციაში.

ორგანიზაციების ნაადრევი განვითარება მჭიდროთ დაკავშირებულია ინგლისის კაპიტალიზმის ადრე განვითარებასთან. მრეწველობის იმ დარგში კარგათ განვითარებულ და ძლიერ ორგანიზაციებს, სწორეთ მრეწველობის იმ დარგში ვხვდებით, რომელშიაც კაპიტალმა ყველა სხვებზე ადრე დაიბუდა. მუშათა ორგანიზაცია აჩრდილივით უკან დასდევდა კაპიტალიზმის განვითარებას.

XVIII საუკუნის დამლევს, როცა მანქანების ხმარებამ მთელი რევოლიუცია მოახდინა მრეწველობაში და კაპიტალიზმის განვითარებამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, მუშათა ლტოლვილება კავშირებათ შეერთებისადმი ერთიორათ მატულობს. იბადება მრავალი ახალი კავშირები, ძველები კი ძლიერდება და მუშა ინსტინქტიურათ ცდილობს თავი დაიცოს კაპიტალიზმის კარზე მომდგარ საშინელებათაგან.

თავდაპირველათ მუშას იმედი აქვს, რომ მას კანონი დაიფარავს.

პარლამენტში მუშათა პეტიციებს დასასრული არა აქვს ამ პეტიციებში იგინი ითხოვენ მანქანების მოსპობას, მინიმალური სამუშაო ქირის დაწესებას და შეგირდთა რიცხვის შემცირებას.

მიუხედავათ ამისა ხმა მუშათა დარჩა ხმათ მღაღადებლათ უდაბნისა შინა იმ პარლამენტში, რომელი მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელთაგან იყო შემდგარი. ეს კიდევ არ კმარა! პარლამენტი ამხედრდა წინააღმდეგ მუშათა მოძრაობისა და კავშირთა. მან გააუქმა ძველი კანონი, რომლის ძალით მომრიგებელ მოსამართლეებს უფლება ქონდათ სამუშაო ქირის განსაზღვრისა, აუკრძალა სხვადასხვა დარგის მუშებს კავშირების და ორგანიზაციების მოწყობა, შეუდგა ხელმძღვანელ მუშათა დატუსაღებას და გამოსცა ახალი კანონი, რომელიც უკრძალავდა მუშებს რაიმე საზოგადოებათა დაარსებას.

ასეთი საზოგადოების დაარსებას კანონი საქმის მწარმოებელთაც უკრძალავდა, მარა უკანასკნელნი, რასაკვირველია, არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ ამ გარემოებას და 1814 წელში ჩვენ ვხედავთ ,,შეფფილდის სავაჭრო და მანუფაქტურულ კავშირს'', რომლის უმთავრეს მიზანს შეფფილდის საქონელთა ფასის მოწესრიგება შეადგენდა.

როცა მუშათა შემავიწროებელ კანონებს სცემდა პარლამენტი, ამით მას მოძრაობის ჩაქრობა უნდოდა, რასაკვირველია; მას მხოლოთ ავიწყდებოდა ამ დროს ერთი ძველებური თქმულება: ბუნება რომ კარებში გააგდო, ფანჯრებიდან შემოვარდებაო.

მოძრაობის განვითარებამ დაამტკიცა, თუ როგორ ცდებოდენ იგინი, ვისაც ამ მოძრაობის ჩაქრობის იმედი ქონდათ.

(შემდეგი იქნება).

ღია წერილი "Черн. Вѣстн."-ის გამომცემელს, ბ-ნ ნიკიტინს.

მოწუაღეო ხელმწიფევ!

როგორც თქვენ კარგათ უწყით, რამდენიმე „პატრიოტ მოწმეთა" წყალობით, რომელთაც ჩემს შესახებ პროკურორის კამერაში განზრახ შეთხზული ტყუილები „აჩვენეს",—მე რამდენიმე თვის განმავლობაში თავისუფლებას მოკლებული ვიყავ და, როგორც თავმჯდომარე ბათუმში მომხდარ მრავალრიცხოვან ხალხის რამოდენიმე კრებისა, კანონდებულების 128—129 მუხლის ძალით, პასუხის გებაში ვარ მიცემული. ზემოხ ენებულ «პატრიოტების» ჩვენებათა სიყალბე, იმედი მაქვს, ჩემი საქმის გარჩევის დროს დავამტკიცო სასამართლოში.

აქ კი მე მინდა აღვნიშნო თუ, რა როლს თამაშობდით თქვენ ზემოხსენებულ ინციდენტში. მას შემდეგ, რაც ჩვენ კოლლექტიურათ გავედით თქვენი რედაქციისაგან, თქვენ აშკარად დაიჩემეთ ეგრეთ წოდებული „პატრიოტიზმა": საეჭვო რუსი პალმის ქართველებისადმი მძულვარება—უფრო

საქმო ქართველი ბ. ნიკიტინის სომხებისადმი მძულვარებათ გადაიქცა. ასეთი «პატრიოტიზმი» თქვენთვის ახალი ამბავი არ არის. ჯერ კიდევ იმ დროს გეტყობოდათ თქვენ „პატრიოტობა“, როდესაც გაზ. „ივერიის“ რედაქციის მდივნათ ბრძანდებოდით, იმ «ივერიის», რომელიც ბბ. ველიჩკოთა და К°-ის ჩაგონებით ერთ ერს მეორე ერს უსისხლებდა და ერთმანერთზე ამხედრებდა. სწორეთ ასეთი „პატრიოტიზმის“ წყალობით იყო, რომ თქვენ შეგნებულათ იცრუეთ და გაზეთის ფურცლებზე ცილის წამება გამოაფინეთ. თქვენი გაზეთის რედაქციის ყოფილ წევრთა კოლლექტიურ წერილის საპასუხოთ—ჩემს ძალა-უნებურ არ ყოფნის დროს—ორი წერილი დაიბეჭდა: ერთი თქვენი („Pro domo sua“) და მეორე თქვენი „მუდმივი თანამშრომელის“ ბ. С.-ს «Въ отвѣтъ г. Вартаньянцу“. შემდეგ, ზემოხსენებული ინციდენტის ფაქტიური მხარე, რომელიც თქვენ ყოველად მოურიდებლათ შელახეთ და დაამახინჯეთ აღადგინა გაზ. „Н. Об.“-ში ე. ვარტანიანმა. ამ უკანასკნელს, რამდენათაც მემახსოვს თქვენ ვეღარაფერი უპასუხეთ, ასე რომ მის წერილში მოყვანილი ფაქტების სინამდვილე დამტკიცდა. ამიტომ მე დამრჩენია მხოლოთ და ვაფასო თქვენი საქციელი; მანამდე კი მოვიყვან ერთ ფაქტს თქვენი „მუდმივი თანამშრომლის“ ცხოვრებიდან. ერთ-ერთ ნებადართულ სახალხო კრებაზე ბათუმში 26 მაისს ერთმა ქართველმა ორატორმა მრისხანე ბრალდებით მიმართა იმ ვაჭრატონს, რომელმაც გურულთა და მეგრელთა შორის განხეთქილება გამოიწვია.

როგორც ქართულ პრესაში გამოირკვა, ეს „ვაჭრატონი“ ყოფილა თქვენი „მუდმივი თანამშრომელი“. ასეთი ყოფაქცევა თქვენი „მუდმივი თანამშრომლისა“ სრულიად გაამართლა მისმა ამნაირმავე ყოფაქცევამ ბათუმში. ის გარემოება, ბ. ნიკიტინო, რომ ჩვენების მოსმენის შემდეგ თქვენ დაუყონებლივ დაითხოვეთ ორი „მოსამსახურე პირი“, რომელთა მიერ ჩემ შესახებ ცილის წამების გავრცელება ჩვენ გამოვამჟღავნეთ,—ამტკიცებს, რომ თქვენ არა უარყოფდით ასეთ ცილის წამებას. ხოლო ის გარემოება, რომ თქვენ, ისარგებლეთ რა ჩემი არ ყოფნით და მჭიდრო კავშირით შეეკარით ცილის წამების ავტორს, რათა აშკარად ამხედრებულიყავით ჩემ წინააღმდეგ, გქმნის თქვენ არა თუ მხოლოთ მონაწილეთ, არამედ უმთავრეს პასუხის მგებლათ იმ ხრიკებისა, რომელიც თქვენ მომართეთ ჩემს წინააღმდეგ, როგორც წინააღმდეგ **სომხისა**.

ხოლო თქვენ მიერ წამოთქმული ორჭოფი წინადადება ,,მე არ შემიძლია არავის გასამართლებაო‘‘—უფრო გარკვევით ახასიათებს თქვენ ყოფა-ქცევას, მიუხედავათ იმისა რომ თქვენ ყოველ ღღე ასამართლებდით მოურიდებლათ ყველას თქვენს გაზეთში—ზოგს აქებდით და ზოგს კი კიცხავდით და როცა ეს გასამართლება თქვენ ,,შინაურის‘‘ მოქმედებას შეეხებოდა,—ორ აზროვან ფრაზს ამოეფარეთ. თქვენ გაზეთში მოთავსებულ წერილებმა, რომელნიც სომეხთა წინააღმდეგ იყო მიმართული, საბოლოოთ განამტკიცა თქვენი რეპუტაცია, და დაამტკიცა ის ბრალდება, რომელიც თქვენი ,,მუდმივი თანამშრომლის წინააღმდეგ ამართა ქართველ ორატორმა. ახლა კი ნათლათ გამოაშკარავდა თქვენი და თქვენი ,,მუდმივი თანამშრომელის‘‘ ზნეობრივი ფიზიონომია. ჯერ-ჯერობით მხოლოთ ამაზე მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება.

ვ. ვარტანიანცი.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ამ ჩვენ წერილს ადგილი დაუთმოთ და მით საშუალება მოგვცეთ უდრმესი მადლობა გამოვუცხადოთ საქმოსა დახმარებისათვის ბ-ნ ექიმ ივანე გომართელს, რომელმაც ოცს აგვისტოს სოფ. ჩიბათში უსასყიდლოთ დახმარება აღმოუჩინა დარიბ სახოგადოებას და გარდა ამისა შეგვპირდა, რომ თვეში თითოჯერ ჩამოვალ და სახოგადოების დარიბ წევრებს დახმარებას აღმოვუჩენ ექიმობის მხრითო. სახოგადოების მინდობილებით.

1) მარკოზ ჩახვაძე.
2) მღ. მოსე ჯორბინაძე.
3) ექვთიმე ონისიმესძე ორაგველაძე.

ქართული თეატრი.

(„ღალატი“, დრამა სუმბათაშვილისა)

ღალატი! ეს სიტყვა ძალიან დამახასიათებელია ქართული წარმოდგენებისათვის. ირგვლივ ღალატი! ღალატობენ მსახიობები, ღალატობს რეჟისორი, ღალატობს საზოგადოება, ერთი სიტყვით ყველანი ღალატობენ საბრალო ქართულ წარმოდგენებს. სწორეთ ასეთი ღალატი დავინახეთ ჩვენ ორშაბათს სახელმწიფო თეატრში, სუმბათაშვილის „ღალატის“ წარმოდგენის დროს. „ჰაერში ღალატის სუნი დგას“—ამბობს სულეიმან-ხანი და ასე გგონია რომ ეს სიტყვები შეეხებიან მსახიობებს, საზოგადოებას და არა იმას, რასაც ნამდვილათ უნდა შეეხებოდენ. მართლაც, რას წარმოადგენდა ამ სეზონის პირველი ქართული სპექტაკლი, თუ არ ღალატს. საზოგადოებამ რომ უღალატა წარმოდგენას და თეატრი ნახევრათ ცალიერი იყო ეს არ ახალია, ძველია. აგრეთვე არ ახალია, ძველია ისიც, რომ ჩვენი მსახიობები თითქმის საერთოთ, კოლლექტიურათ ღალატობდენ წარმოდგენას. ღალატობდა სულეიმან-ხანი, ღალატობდა ოთარბეგი, საბა-ბერი, დათო, ერეკლე, და რუქაია...

ბ. შალიკაშვილი გარეგნობით, გრიმით უფრო გაიოზ ფალავას მოგაგონებდათ, ვინემ მრისხანე სულეიმანს. არავითარი გამომეტყველება მრისხანებისა და სისასტიკისა მის პირისახეს არ ემჩნეოდა. სულეიმანი—ეს ნამდვილი არაბი, ჯიშიანი, როგორც არაბული ცხენი, რომელიც უბრალო ჩრდილის დანახვაზე ყალყზე დგება და ნაპერწკლებს ყრის თვალთაგან—მუდამ იჭვიანი, ყურ-დაცქვეტილი, სასტიკი, დაუნდობელი—ბ. შალიკაშვილის წარმოდგენაში ძალიან ფერმკრთალი გამოვიდა.

ოთარბეგიც (ბ. გუნია) ძალიან სუსტი იყო. მან პირველ ორ მოქმედებაში ვერ დაუხატა საზოგადოებას „განდგომილი“, გათახსირებული, ოდესღაც გმირის, მაგრამ ახლა სულეიმანის წინაშე ჰიასავით მხეხავი ოთარბეგის სახე. მესამე მოქმედებაში იმ სცენის დროს, როდესაც გააფთრებული ოთარი, ალ-რაზაყის მოკვლით შეშფოთებული ღვთის რისხვასავით შეევარდება ერთმანერთზე მიწეულ ქართველებს და სპარსელებს შორის. ბ. გუნია სრულიად უფერული იყო, მისი თამაში ამ დროს მხოლოთ მაღალი ხმით ყვირილში გამოიხატა. იბნ-საადს ისე ულაზათოთ და ზეპირათ მისცა ბეჭედი, ისე მშრალათ, მშვიდათ წარმოთქვა სიტყვები: აი, წაიღე ჩემი ბეჭედი და გასწი მთებში-ო‘‘, რომ გეგონებოდა სადღაც სატრფოსთან აგზავნის და ბეჭედს ატანს საჩუქრათო.

ზეინაბთან სცენაშიაც სუსტობდა ბ. გუნია—ოთარი და

ის სულიერი ტრაგედია, შინაგანი რევოლიუცია, რომელიც ამ დროს ოთარის არსებაში ხდება ჩვენ ვერ დავინახეთ.

საბა-ბერი (ბ. დადიანი) თანამედროვე ხუცესს უფრო გავდა, რომელიც ,,დრამის'' ფულის გადავარდნაზე წუწუნებს, ვინემ ფანატიკოს მხცოვან გმირს.

დათო, ეს ახალგაზდა საქართველოს გახორციელება, თავგანწირული, მარდი, გატაცებული, ვულკანივით აგზნებული და უშიშარი ჰაბუკი ბ. სვიმონიძის დასურათებაში რაღაც ულაზათო, ტლანქ, მოუხეშავ არსებას გავდა. ამ აქტიორის უმთავრესი ნაკლულოვანება მიხრა-მოხრის სიზანტე, ერთი და-იგივე ჟესტები და ერთი და იმავე კილოთი ლაპარაკი შეადგენს.

ერეკლე არც წყალი იყო და არც ღვინო—უფრო კი წყალი, რადგან ბ. ჩარკვიანმა, რომელიც ამ როლს თამაშობდა ვერავითარი ,,ხასიათი'' ვერ დაგვანახვა, თუმცა ამ ტიპის დახასიათებაში პიესის ავტორსაც დიდი ბრალი მიუძღვის.

ქ. კარგარეთელი (რუჭაია) ზედ-გამოჭრილი თანამედროვე შანტანების შანსონეტკა იყო. მისი თამაში თავიდან ბოლომდე შეუსაბამო მიხვრა-მოხვრას და ლამაზი პოზების ამაო ძებნას წარმოადგენდა. რუჭაიას ცბიერება, გაიძვერობა, მაქციერობა, ველური გრაცია, კატის სისწრაფე—ყველა ეს არსად ჩნდა და თვალწინ თანამედროვე, შაბლონური რუჭაია გედგათ.

ქ. ჩხეიძე ზეინაბის როლს თამაშობდა. ეს როლი თავისთავათ ისეთი ძნელი და რთულია თვით ამ ტიპის სიყალბის წყალობით, რომ მისი სრულიათ დაძლევა მეტათ დიდ ნიჭს და გამოცდილებას შეუძლია. მიუხედავათ ამისა ჩვენ არ შეგვიძლია არ გამოვტყდეთ, რომ ქ. ჩხეიძემ თითქმის სძლია ეს საძნელო როლი. უმთავრესი ნაკლულოვანება ახალგაზრდა მსახიობი ქალისა ჩვენის აზრით იყო ზეინაბისათვის შეუფერებელი გარეგნობა და „პოზიროვკა" (ეს საზოგადო ნაკლია ქ. ჩხეიძისა) გარეგნობით იგი 18 წლის ქალს გავდა. პირველ ოთხ მოქმედებაში ქ. ჩხეიძეს რაღაც სიზანტე და უგულობა ემჩნეოდა და მეხუთე მოქმედების შესანიშნავი მონოლოგები ვერ იყვენ ისე კარგათ წამოთქმული, როგორც ამ მსახიობს შეეფერება. მაგიერში მეხუთე მოქმედება ნამდვილი „chet-d'euvre"-ი იყო სახიობისა. აქ ქ. ჩხეიძემ არ დაიშურა თავისი ტემპერამენტი და სავსებით დახატა უბედური დედის და ბედნიერი დედოფლის სულის კვეთება.

შესანიშნავი იყო, როგორც გარეგნობით, ისე თამაშითაც ბ. შათირიშვილი—ყარა-უსუფი. მისი სახე და ფიგურა ახლაც თვალწინ მიდგას: გაიძვერული, სასტიკი, ბეგრამ სულმდაბალი, მელური გამომეტყველება, ჩაცარდნილი მკერდი, წეროსავით წაწვდილი კისერი—ნამდვილ ყარა-უსუფის გარეგნობას წარმოადგენდა. შემპარავი ლაპარაკი, ცბიერი კილო და სულეიმანის წინაშე ძლიქვნელობა შვენიერათ გამოხატა ბ. შათირიშვილმა და დაგვიმტკიცა, რომ ბეჯითს და მუყაით აქტიორს მცირე როლშიაც შეუძლია სულის ჩაბერვა და უნარის გამოჩენა.

ქ. ლეჟავას თამაშმა სავსებით დააკმაყოფილა მაყურებლები—მან უნაკლულოთ შეასრულა გულ-უბრყვილო გაიანეს როლი. ის სცენა, როდესაც გაიანე დათოს შეეხვეწება ისეთის სინამდვილით და ხელოვნებით გადმოგვცა, რომ ყველანი აღტაცებაში მოიყვანა. პირველ გამოსვლისთანავე ეტყობოდა ქ. ლეჟავას, რომ თავის თავს საკუთარ როლში გრძნობდა და ეს პირველი შთაბეჭდილება გაამართლა კიდეც. სცენაზე, როგორც სინამდვილეში, ისე ხედავდით ცქრიალა, უმანკო არსებას, რომლის სპეტაკსა და უბრყვილო ბუნებას ჯერ არავითარი ჭუჭყი არ მიკარებია. გაიანეს და მაიკოს სცენამაც შვენიერათ ჩაიარა, ყოველი სიტყვა საბრალო გაიანეს, რომელსაც ჯერ დათომ და მერე მაიკომ აუხდინეს ცხვირში მამა მისის ყოფაქცევაზე,—გულს ხვდებოდა და სანახაობას გრძნობას უღვიძებდა მაყურებელს.

კი-კი.

განცხადებანი

ქართული წარმოდგენა

სახაზინო თეატრში.

ორშაბათს, 3 ოქტომბერს,

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება:

— პირველათ ახალი პიესა —

I.

ნიაღვარი

დრამა ოთხ მოქმ. კოსოროტოვისა. თარგმ. ვ. გუნიასი.

II.

გეგრის საღერღელი

ვოდევ. ერთ მოქმედ. მაზურკევიჩისა. თარგ. დ. აწყურელისა.

მონაწილეობას იღებენ: ქბ-ნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, მ. მდივანი. ა. ნებიერიძე, ნ. ჩხეიძე. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ს. სვიმონიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი, ვ. ურუშაძე.

წარმოდგენა დაიწყება 8 საათზედ.

ადგილების ფასი: ლოჟები 2 მანეთიდან 10 მანეთამდე, ბალკონი 60 კაპეიკიდან 75 კაპეიკამდე, ამფითეატრი 1 მან. გალერეია 25 კაპ.—35 კაპეიკამდე.

შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.

,მზადდება წარმოსადგენად **მარუჩა, სულით ოგოლნი, შიო თავაძი, ძოხში.**

რეჟისორი **ვალერიან გუნია.**

Открыта подписка на ежедневную общественно-литературную и политическую газету

„ВОЗРОЖДЕНІЕ".

1-й № выйдетъ 1-го октября.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

	На годъ.	На 6 мѣсяц.	На 3 мѣсяц.	На 1 мѣсяц
Для городскихъ подписчиковъ съ доставкою	6 руб.	3 руб.	1 руб. 50 к.	50 коп.
Для иногородныхъ подписчиковъ съ пересылкою	7 руб.	3 руб. 50 к.	1 руб. 75 к.	60 коп.

Подписка принимается въ конторѣ газеты „ВОЗРОЖДЕНІЕ", Тифлисъ, Головинскій пр., д. бр. Зубаловыхъ (выходъ съ Давидовской ул.).

Плата за объявленія: за строку петита впереди текста 10 коп., позади текста—5 коп.

Съ января 1906 года „ВОЗРОЖДЕНІЕ" будетъ выходить съ еженедѣльнымъ иллюстрированнымъ приложеніемъ съ каррикатурами, при чемъ оба изданія будутъ стоить 10 руб.

Редакторъ *П. А. Готуа.*

Редакторъ-издатель кн. *П. І. Тумановъ.*

რედ.-გამომც. ი. პ. როსტომაშვილი.

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 30-го Сентября 1905 г.

სტამბა ე. ი. ხელაძისა, რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სას. სემ.